სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დავით მელიქიძე

# მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები სამცხე-ჯავახეთში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:
პროფ. ნინო ლიპარტელიანი

გორი
2021

# ა ნ ო ტ ა ც ი ა

დ.მელიქიძე

## მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები სამცხე-ჯავახეთში

ჩვენს მიერ საკვლევი სამაგისტრო ნაშრომი **მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები სამცხე-ჯავახეთში** შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესის როლს ქვეყნის ეკონომიკაში, მის მნიშვნელობას და მახასიათებლებს, მცირე და საშუალო ბიზნესის ახალ იდეოლოგიას. **ჩვენი მიზანი** გახლდათ შეგვესწავლა მცირე და საშუალო ბიზნესის რეგულირების სახელმწიფო მეწანიზმი, აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ საკვლევი თემა **აქტუალურად მიმაჩნია.** ჩატარებული **კვლევის ამოცანაა** ჩვენება იმისა, რომ თანამედროვე ეტაპზე მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციონირების განხილვა და ანალიზი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ჩენს მიერ წარმოდგენილი **კვლევის ჰიპოთეზა** მდგომარეობს იმაში, რომ უნდა მოხდეს მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმის ოპტიმიზაცია როგორც არასახელმწიო კომერციული ორგანიზაციებით, ასევე სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამებით. სწორედ ეს მიდგომა გაზრდის ამ სექტორის ეფექტიანობას. ჩატარებული **კვლევის საგნია** მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სახელმწიფო პროგრამების ხელშემწყობი მექანიზმების შესწავლა. **კვლევის ობიექტია** საქართველოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის,
საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის **ძირითად შედეგად** ვამტკიცებთ მას, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში ჯერ კიდევ არაა ღრმად და კომპლექსურად შესწავლილი, მცირე და საშუალო საწარმოები ფუნქციონირებენ თითქოსდა მხოლოდ ქვეყანის შიდა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ჩვენს მიერ ჩატარებული **კვლევის სიახლე** გახლავთ ჩვენება იმისა, რომ მეტად უნდა დაიხვეწოს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის, მათი ფინანსური რისკების მინიმიზაციის მექანიზმები, იქნება ეს კომერციული ბანკების საკრედიტო პროგრამები, მიზნობრივი ფონდების მხარდამჭერი პროგრამები, ურთიერთგარანტიის საზოგადოებების პროგრამები, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები და ა.შ.

# Annotation

D. Melikidze

## State programs to assist the development of small and medium-sized businesses in Samtskhe-Javakheti

Our research master's thesis "State programs to support the development of small and medium-sized businesses in Samtskhe-Javakheti" will be devoted to the role of small and medium-sized businesses in the country's economy, its significance and characteristics, the new ideology of small and medium-sized businesses. Our goal was to study the state mechanism for regulating small and medium-sized businesses, so I think the topic of our research is relevant. The purpose of the study is to show that discussion and analysis of the functioning of small and medium-sized businesses at the present stage is of particular importance. The hypothesis of the study presented by Chen is that the mechanism of financial support for small and medium-sized businesses should be optimized both by non-profit commercial organizations and government support programs. It is this approach that will increase the efficiency of this sector. The subject of the research is the study of mechanisms to support government programs for the development of small and medium-sized businesses. Research object - Ministry of Economy and Infrastructure of Georgia, Ministry of Finance of Georgia, Chamber of Commerce and Industry of Georgia, The information is posted on the official websites of the Association of Employers of Georgia, the Association of Small and Medium Enterprises of Georgia, and the National Statistical Office of Georgia. The main result of our research is that small and medium-sized businesses in Georgia have not yet been studied deeply and comprehensively, small and medium-sized enterprises operate as if they only satisfy the country's domestic demand. The novelty of our research indicates that there are mechanisms to support small and medium-sized businesses, to minimize their financial risks, whether it be programs for lending to commercial banks, programs for targeted support of funds, programs of mutual guarantees, government programs for supporting small and medium-sized businesses, etc.

# შინაარსი

## მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები სამცხე-ჯავახეთში


თავი I
მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ქვეყნის ეკონომიკაში

1.1. მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობა და მახასიათებლები

1.2. მცირე და საშუალო ბიზნესის ახალი იდეოლოგია

თავი II
მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი

2.1. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები საქართველოში

2.2. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები

2.3. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები სამცხე-ჯავახეთში

დასკვნა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
გამოყენებული ლიტერატურა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
დანართები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

# შესავალი

ჩვენ მიერ საკვლევი  სამაგისტრო ნაშრომი **მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები სამცხე-ჯავახეთში** შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესის როლს ქვეყნის ეკონომიკაში, მის მნიშვნელობას და მახასიათებლებს, მცირე და საშუალო ბიზნესის ახალ იდეოლოგიას. საბაზრო ეკონომიკა ვერ იარსებებდა მცირე და საშუალო ბიზნესის გარეშე, გამომდინარე აქედან ეკონომიკის ამ სექტორის განვითარება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი თეზისია. ეკონომიკის ზრდის ტემპს, მთლიანი ეროვნული პროდუქტის ხარისხს და სტრუქტურას სწორედ მცირე მეწარმეობა განსაზღვრავს. მსოფლიოში ფუნქციონირებს მცირე და საშუალო კომპანიების საერთაშორისო ალიანსი-The Global Alliance of SMEs, რომლის ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ აშშ-ში მცირე მეწარმეობის სუბიექტები ქვეყნის მშპ-ს 39% ქმნიან და სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფენ ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტს, რაც იძლევა საშუალებას იმისა, რომ სწორედ ბიზნესის ამ სეგმენტმა ყველაზე უკეთ მოახდინოს ინოვაციური მეწარმეობის განვითარება.[1] ცნობილი ეკონომისტი, კაპიტალისტური ეკონომიკური მოდელის ცნობილი ანალიტიკოსი და მხარდამჭერი იოზეფ შუმპეტერი საუბრობს „კრეატიულ ნგრევაზე“, რომელშიც გულისხმობს ძველი პროდუქტების, ძველი კომპანიების და ძველი ორგანიზაციული ფორმების შეცვლას და ამ პროცესში უდიდესი როლი აქვს მცირე და საშუალო ბიზნესს, რადგან გადარჩებიან მხოლოდ ის კომპანიები, რომლებიც პერმანენტულად ახდენენ ინოვაციური იდეების გენერირებას. მცირე ბიზნესს შესწევს უნარი მოთხოვნაზე ორიენტირებით, დროის მცირე მონაკვეთში რადიკალურად შეიცვალოს საქმიანობის მიმართულება. „სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულად ხდება ბიზნესის ზომების რანჟირება, თუმცა ძირითადად მაინც ყურადღება ექცევა საწარმოს ბრუნვასა და დასაქმებულთა რაოდენობას, რომლიც ხშირად სხვადსხვა

---

[1] http://www.globalsmes.org/ გადამოწმებულია 11.12.2020

ეკონომიკური საქმიანობის სექტორების მიხედვით. არსებობს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის, მათი ფინანსური რისკების მინიმიზაციის სხვადასხვა მექანიზმი, იქნება ეს კომერციული ბანკების საკრედიტო პროგრამები, მიზნობრივი ფონდების მხარდამჭერი პროგრამები, ურთიერთგარანტიის საზოგადოებების პროგრამები, მცირე ბიზნესის სესხით უზრუნველყოფის პროგრამები ეკონომიკის შედარებით მნიშვნელოვან სექტორში მომუშავე მცირე საწარმოებისათვის, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები და ა.შ. თუ სახელმწიფო მხარს დაუჭერს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ავტომატურად ბიზნესის ეს სექტორი დაეხმარება ბიუჯეტს და ქვეყნის მოსახლეობას.

**კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები**: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

კვლევის პროცესში ჩვენთვის **სასურველ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენდა** გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ელეტრონული ბიბლიოთეკის მასალები, ასევე ELSEVIER-ის ბაზები: Scopus; Science Direct; Scival Funding (Funding Institutional), საგნობრივი 900-ზე მეტი წამყვანი საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი, ონლაინ რესურსები, რომლებზეც მსოფლიო პანდემიის პირობებში უფასოდ ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფდა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია. არსებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე იძულებული გავხდი გამომეყენებინა მეორადი კვლევა, უკვე გამოქვეყნებული მონაცემების ანალიზი, შევეცადე ეს ინფორმაცია ყოფილიყო ბოლო 5-3 წლის დიაპაზონში, რათა სურათი ყოფილიყო მაქსიმალურად რეალური.

# თავი I

# მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ქვეყნის ეკონომიკაში

## 1.1. მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობა და მახასიათებლები

თანამედროვე ეტაპზე მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციონირების განხილვა და ანალიზი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ჩვენს მიერ წარმოდგენილი კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ უნდა მოხდეს მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმის ოპტიმიზაცია როგორც არასახელმწიფო კომერციული ორგანიზაციებით, ასევე სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამებით. სწორედ ეს მიდგომა გაზრდის ამ სექტორის ეფექტიანობას. „სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში და საგრძნობი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად შეიძლება მივიჩნიოთ. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში.“[2] ეკონომიკურ ლიტერატურაში ბევრგან ამოვიკითხავთ, რომ მეწარმე გამოგონებასა და დანერგვას შორის უმთავრესი რგოლია და ამ პროცესებზე ზემოქმედებს ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდებით.

მსოფლიო გამოცდილებამ ცხადყო, რომ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უდიდეს ნაწილში მცირე და საშუალო ბიზნესი უზრუნველყოფს მშპ-ს

---

[2] http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისათვის. გადამოწმებულია 15.12.2020

თითქმის ნახევარს. „ზოგადი ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ ძალიან დაბალია."[3]

„2006 წლამდე საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არ არსებობდა რაიმე ნორმატიული აქტი, რომლიც ერთის მხრივ განსაზღვრავდა თუ რა იყო მცირე და საშუალო ბიზნესი და მეორეს მრხივ განსაზღვრავდა პოლიტიკას ანდა სტრატეგიას ამ ზომის საწარმოების მიმართ. 2006 წელს ცვლილებები შევიდა კანონში "ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ" და აღნიშნული კანონით (მუხლი #3-ტერმინთა განმარტებები). დადგინდა განმარტებები მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის. კერძოდ:

- მცირე საწარმო - „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა – 500 000 ლარს;
- საშუალო საწარმო - „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 100 დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა – 1 500 000 ლარს;"[4]

თუ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ბიზნეს სექტორის 2020 წლის მიმოხილვას ვნახავთ სურათი განსხვავებული დაგვხვდება, დოკუმენტის თანახმად: „საწარმოები ზომის მიხედვით დაიყოფა შემდეგნაირად: მსხვილი, საშუალო და მცირე. მცირე და საშუალო საწარმოებს განეკუთვნება ყველა

---

[3] http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისათვის. გადამოწმებულია 15.12.2020
[4] http://www.economists.ge/storage/uploads/publication/1412290223091a66.pdf საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის კვლევა. გვ. 9. გადამოწმებულია 13.12. 2020

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ ოდენობებს:

- მცირე საწარმოებისათვის - 50 დასაქმებულსა და 12 მლნ. ლარს;
- საშუალო საწარმოებისათვის - 249 დასაქმებულს ან 60 მლნ. ლარს;
- მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. ლარს.

საწარმოთა ზემოთ აღნიშნული გრადაცია მოქმედებს 2017 წლიდან, ამიტომ მოყვანილი დეფინიციები საწარმოთა ზომის მიხედვით განსხვავებულია წინა წლებში გამოცემულ კრებულებში გამოქვეყნებულ დეფინიციებთან შედარებით.“[5]

თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიას 2016-2020 წლებისათვის, ვნახავთ, რომ:

*ცხრილი 1: მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება*[5]

| საწარმოს ტიპი | დასაქმება | ბრუნვა ფისკალური წლის განმავლობაში |
|---|---|---|
| მცირე | წლიურად 20-მდე დასაქმებული | არაუმეტეს 500,000.0 ლარისა |
| საშუალო | წლიურად 100-მდე დასაქმებული | არაუმეტეს 1,500,000.0 ლარისა |

მიკრომეწარმე ფიზიკური პირია, „მიკრობიზნესის სტატუსი ენიჭება გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულ ფიზიკურ პირს. მიკრობიზნესის სტატუსის მისანიჭებლად არ არის სავალდებულო, პირი იყოს რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკურ პირად. მიკრობიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს იმ ფიზიკურ პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

- არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას;
- დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლის მიხედვითაც მის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი

[5] https://www.geostat.ge/media/35014/Krebuli-2020.pdf საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ბიზნეს სექტორი საქართველოში 2020. გვ.14. გადამოწმებულია 15.12.2020

*ცხრილი 2: მიკრო და მცირე ბიზნესი* [6]

| სტატუსის ტიპი | ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში |
|---|---|
| მიკრო ბიზნესი | არაუმეტეს 30,000.0 ლარი |
| მცირე ბიზნესი | არაუმეტეს 100,000.0 ლარი |

შემოსავალი არ აღემატება 30000 ლარს (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N999 ბრძანება, მუხლი 2).

მიკრობიზნესის სტატუსის მისანიჭებლად პირი განცხადებით მიმართავს შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის სერვისცენტრს ან ელექტრონულად წარადგენს განცხადებას შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის - www.rs.ge-ს მეშვეობით. საგადასახადო ორგანო განიხილავს განცხადებას და მისი დაკმაყოფილების შემთხვევაშიგანცხადების მიღებიდან ვადაში გასცემს მიკრობიზნესის სერტიფიკატს.“[6]

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიაში 2016-2020 წლებისათვის, ვკითხულობთ, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით: „მცირე ბიზნესი იბეგრება 3%-იანი ან 5%-იანი განაკვეთით. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 5%-ით. 3%-იანი განაკვეთი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მეწარმეს აქვს დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ მის მიერ გაწეული ხარჯები (დასაქმებულთათვის გადახდილი ხელფასის გარდა) შეადგენს მისი ერთობლივი შემოსავლის 60%-ს. მიკრო ბიზნესი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან და მიმდინარე გადასახდელების გადახდისგან. მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის შემოღების და შესაბამისი საგადასახადო შეღავათების დაწესების მთავარი მიზანია, ერთი მხრივ, ამგვარი ბიზნესების რეგისტრაციის ხელშეწყობა და მეორე მხრივ საგადასახადო ტვირთის შემცირება. საქართველოს შემოსავლების სამსახურის სტატისტიკის მიხედვით, ახალი საგადასახადო კოდექსის

[6] https://old.rs.ge/Default.aspx?sec_id=4723&lang=1&catid=55 შემოსავლების სამსახური. გადამოწმებულია 4.12.2020

შემოღების შემდეგ დარეგისტრირდა 83 231 მიკრო და მცირე საწარმო, რომელთაგან 39 470 არის მიკრო, ხოლო 43 761 არის მცირე საწარმო."[7]

საბაზრო ეკონომიკა ვერ იარსებებდა მცირე და საშუალო ბიზნესის გარეშე, გამომდინარე აქედან ეკონომიკის ამ სექტორის განვითარება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი თეზისია. ეკონომიკის ზრდის ტემპს, მთლიანი ეროვნული პროდუქტის ხარისხს და სტრუქტურას სწორედ მცირე მეწარმეობა განსაზღვრავს. მსოფლიოში ფუნქციონირებს მცირე და საშუალო კომპანიების საერთაშორისო ალიანსი-The Global Alliance of SMEs, რომლის ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ აშშ-ში მცირე მეწარმეობის სუბიექტები ქვეყნის მშპ-ს 39% ქმნიან და სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფენ ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტს, რაც იძლევა საშუალებას იმისა, რომ სწორედ ბიზნესის ამ სეგმენტმა ყველაზე უკეთ მოახდინოს ინოვაციური მეწარმეობის განვითარება.[8] ცნობილი ეკონომისტი, კაპიტალისტური ეკონომიკური მოდელის ცნობილი ანალიტიკოსი და მხარდამჭერი იოზეფ შუმპეტერი საუბრობს „კრეატიულ ნგრევაზე", რომელშიც გულისხმობს ძველი პროდუქტების, ძველი კომპანიების და ძველი ორგანიზაციული ფორმების შეცვლას და ამ პროცესში უდიდესი როლი აქვს მცირე და საშუალო ბიზნესს, რადგან გადარჩებიან მხოლოდ ის კომპანიები, რომლებიც პერმანენტულად ახდენენ ინოვაციური იდეების გენერირებას. თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც მოთხოვნის დიდი მრავალფეროვნება არსებობს, სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესს, გამომდინარე მისი მოქნილობიდან, შეუძლია ეფექტურად დააკმაყოფილოს მცირე შეკვეთები და მოკლევადიანი მოთხოვნილებები. მცირე ბიზნესს შესწევს უნარი მოთხოვნაზე ორიენტირებით, დროის მცირე მონაკვეთში რადიკალურად შეიცვალოს საქმიანობის მიმართულება. „სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულად ხდება ბიზნესის ზომების რანჟირება, თუმცა ძირითადად მაინც ყურადღება ექცევა საწარმოს ბრუნვასა და

---

[7] http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისათვის. გადამოწმებულია 15.12.2020
[8] http://www.globalsmes.org/ გადამოწმებულია 11.12.2020

**3.2 ბრუნვა საწარმოთა ზომის მიხედვით 2019 წელს,** მლნ. ლარი

**3.2 TURNOVER BY SIZE OF ENTERPRISES IN 2019,** mln. GEL

წყარო: საქსტატი

| | მთლიანად<br>Total | მათ შორის: / of which: | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მსხვილი<br>Large | საშუალო<br>Medium | მცირე<br>Small | |
| **სულ** | **109024.3** | **60504.6** | **21065.5** | **27454.2** | **Total** |
| ***ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:*** | | | | | ***By economic activity:*** |
| სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | 498.4 | 87.7 | 201.3 | 209.4 | Agriculture, forestry and fishing |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება | 841.6 | 532.0 | 68.5 | 241.1 | Mining and Quarrying |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 10422.5 | 5124.6 | 2977.5 | 2320.3 | Manufacturing |
| ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება | 3458.8 | 3033.6 | 355.2 | 70.0 | Electricity, gas, steam and air conditioning supply |
| წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები | 282.4 | 224.7 | 29.3 | 28.3 | Water supply; Sewerage, Waste Management and Remediation Activities |
| მშენებლობა | 8263.2 | 2132.4 | 3083.9 | 3046.8 | Construction |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი | 42955.4 | 18379.8 | 9501.4 | 15074.2 | Wholesale and retail trade; repair of motor vehicles and motorcycles |
| ტრანსპორტირება და დასაწყობება | 6031.7 | 2596.7 | 1676.1 | 1758.9 | Transportation and storage |
| განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები | 2089.1 | 599.3 | 575.2 | 914.5 | Accommodation and food service activities |
| ინფორმაცია და კომუნიკაცია | 1894.0 | 1180.4 | 335.2 | 378.4 | Information and communication |
| უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები | 1520.0 | 98.4 | 336.7 | 1084.9 | Real estate activities |
| პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | 1643.3 | 224.5 | 455.4 | 963.4 | Professional, scientific and technical activities |
| ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები | 1410.0 | 257.1 | 388.7 | 764.3 | Administrative and support service activities |
| განათლება | 425.6 | 132.3 | 179.6 | 113.8 | Education |
| ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები | 1147.3 | 556.8 | 348.2 | 242.3 | Human health and social work activities |
| ხელოვნება, გართობა და დასვენება | 25993.0 | 25338.8 | 517.6 | 136.6 | Arts, entertainment and recreation |
| სხვა სახის მომსახურება | 148.1 | 5.4 | 35.8 | 106.9 | Other service activities |

დასაქმებულთა რაოდენობას, რომლიც ხშირად სხვადსხვა ეკონომიკური საქმიანობის სექტორების მიხედვით. არსებობს ერთი საერთო დეფინიცია მცირე და საშუალო ინდუსტრიების განვითარების კორპორაციის SMIDEC მიერ წამოდგენილი, რომელიც SME-ს განსაზღვრავს ორი ძირითადი ფაქტორის მიხედვით, ყოველწლიური გაყიდვების ბრუნვასა და მთლიან განაკვეთზე მომუშავე მუშების რაოდენობის მიხედვით.“[9] ევროკავშირის ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესსუბიექტების შეფასებისას უმნიშვნელოვანესია დასაქმებულთა რაოდენობა და საწარმოს შემოსავალი. კომპანიის შემოსავალი ცხადყოფს როგორც პერსპექტივებს, ასევე პრობლემურ სფეროებს.

განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მცირე მეწარმეობის კულტია, მხოლოდ განსხვავებული მიდგომებით. მაგალითად დიდ ბრიტანეთში მცირე მეწარმეობად ითვლება საწარმო, რომელიც ასაქმებს 50 ადამიანამდე, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი აშს-ში 500 კაცია. ამ ქვეყნებში თითქმის ვერ ვნახავთ სფეროს, რომელიც არ სარგებლობდეს ბიზნესის ამ სექტორის მომსახურებით. მაგალითად ესპანეთში მცირე ბიზნესის წილი საამშენებლო ინდუსტრიაში შეადგენს 30%, მრეწველობაში-31%, გემთმშენებლობაში-30%, სოფლის მეურნეობაში-80%. მიჩნეულია რომ გერმანიის ეკონომიკა დგას მანქანათმშენებლობაზე, მსხვილ ქიმიურ და მეტალურგიულ კონცერნებზე, ამ დროს ქვეყნის ეკონომიკის უდიდეს ნაწილს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ.

მცირე ბიზნესის წარმატების მთავარი გასაღები ადამიანურ რესურსშია, ნებისმიერი მცირე საწარმოს მთავარი ღირებულება კვალიფიციური თანამშრომელია, თავისი საქმის პროფესიონალი, რომელსაც უყვარს ეს ბიზნესი. მცირე ბიზნესისაგან განსხვავებით საშუალო ბიზნესის წინსვლის მთავარი გასაღები არის წარმოებული პროდუქცია და გასაღება. ექსპერტები თვლიან, რომ მცირე და საშუალო ბიზნესსუბიექტები ბევრად პროდუქტიულები არიან მსხვილი ბიზნესის

---

[9] http://www.economists.ge/storage/uploads/publication/1412290223091a66.pdf საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის კვლევა. გვ. 9-10. გადამოწმებულია 13.12. 2020

მოთამაშეებთან შედარებით. ამერიკული მაგალითით ბიზნესის ეს სექტორი ასაქმებს ქვეყნის ინჟინრების 32%-ს, მაშინ როდესაც მსხვილ ფირმებში დასაქმებულია ქვეყნის ინჟინრების 27%. გარდა ამისა მცირე ბიზნესს არ ახასიათებს ბიუროკრატიული ბარიერები, ამიტომ ის ოპტიმალურად იყენებს ადამიანურ პოტენციალს.

SMIDEC-ის მიხედვით „საშუალო ბიზნესი არის: ბიზნეს დაწესებულება ყოველწლიური გაყიდვების ბრუნვით 10 მილიონსა და 25 მილიონს შორის, სადაც მუშაობს 150-ზე მეტი პერსონალი მთლიანი განაკვეთით. მცირე ბიზნესი არის: ბიზნეს დაწესებულება სადაც ყოველწლიური გაყიდვების ბრუნვა არის 10 მილიონზე მეტი და სადა მუშაობს 50-ზე მეტი მუშა მთელ განაკვეთზე."[10]

მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის წილი პროდუქციის ექსპორტში. მცირე და საშუალო კომპანიების საერთაშორისო ალიანსი-The Global Alliance of SMEs, ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გერმანიასა და ნიდერლანდებში ეს წილი 40%-ს შეადგენს, იტალიაში-20-25%, აშშ-სა და იაპონიაში კი ექსპორტის 15% მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის. თუ ამას დავუმატებთ მცირე და საშუალო საწარმოების თანამონაწილეობას იმ პროდუქციის კომპლექტაციაში, რომელსაც მსხვილი კომპანიები ახდენენ, მაშინ მათი წილი გაორმაგდება.

მცირე მეწარმეობის სუბიექტებს ახასიათებთ კონკურენტუნარიანობის ფაქტორების მრავალფეროვნება:

- აქტიური ინოვაციური კომპონენტი;
- მართვის (მენეჯმენტის) ეფექტურობის მაღალი ხარისხი;
- მცირე მართველობითი და საბუღალტრო დანახარჯები;
- ბაზრიდან გასვლის დაბალი ბარიერები;
- ბიზნესმიმართულების შეცვლის მნიშვნელოვანი სიმსუბუქე;

[10] http://www.economists.ge/storage/uploads/publication/1412290223091a66.pdf საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის კვლევა. გვ. 10. გადამოწმებულია 13.12. 2020

„მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობა განპირობებულია მათი ინოვაციური შესაძლებლობებით. „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის“ (The Global Competitiveness Report) თანახმად საქართველოს ინოვაციური პოტენციალი საკმაოდ დაბალია, რეიტინგით იკავებს მხოლო 121-ე ადგილს.

საქართველოს „ინოვაციურობის“ რეიტინგის განმსაზღვრელი კომპონენტები

| # | ინოვაციური კომპონენტი | სარეიტინგო ადგილი |
|---|---|---|
| 1 | ინოვაციური შესაძლებლობები | 110 |
| 2 | სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხი | 119 |
| 3 | კომპანიების დანახარჯი კვლევასა და განვითარებაზე | 126 |
| 4 | უნივერსიტეტებისა და წარმოების თანამშრომლობა კვლევებსა და განვითარებაში | 128 |
| 5 | ინოვაციური პროდუქციის სამთავრობო შესყიდვები | 69 |
| 6 | მეცნიერებისა და ინჟინრების რაოდენობა | 122 |
| 7 | პატენტების რაოდენობა მილიონ მოსახლეზე | 65 |

ინოვაცია დღეს მიჩნეულია ბიზნესის განვითარების უმთავრეს ინსტრუმენტად და აღიარებულია ბიზნესის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის ქვაკუთხედად.“[11]

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს ყველა ქვეყნის მცირე და საშუალო ბიზნესში სულ უფრო მეტად შეინიშნება გლობალიზაციის ნიშნები:

- შიდაეკონომიკური აქტივობის გაძლიერება;
- გაძლიერებული მოთხოვნა გლობალურ საინფორმაციო ტექნოლოგიებზე;
- ფორმების უნიფიკაცია;

ზოგადი „ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო

[11] საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ძირითადი ხელშემწყობი პირობები. კავკასიის უნივერსიტეტი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი. 2015/ გვ. 8

საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ ძალიან დაბალია.“[12]

რამდენს გამოიმუშავებს მცირე და საშუალო ბიზნესი მსოფლიო მასშტაბით? The Global Alliance of SMEs ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ აშშ-ში მცირე საწარმოებზე მოდის წმინდა შემოსავლების 35% და მთელი ექსპორტის 30%, საფრანგეთში და გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესის წილი მთლიან მშპ-ში თითქმის 50%-ია. იაპონიაში მცირე და საშუალო ბიზნესი გადამამაუშავებელ მრეწველობაში ქმნის მთლიანი პროდუქციის 57%-ს. იტალიაში მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის მთლიანი ეროვნული შემოსავლის 95%.

არსებობს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის, მათი ფინანსური რისკების მინიმიზაციის სხვადასხვა მექანიზმი. იქნება ეს კომერციული ბანკების საკრედიტო პროგრამები, მიზნობრივი ფონდების მხარდამჭერი პროგრამები, ურთიერთგარანტიის საზოგადოებების პროგრამები, მცირე ბიზნესის სესხით უზრუნველყოფის პროგრამები ეკონომიკის შედარებით მნიშვნელოვან სექტორში მომუშავე მცირე საწარმოებისათვის, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები და ა.შ. თუ სახელმწიფო მხარს დაუჭერს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ავტომატურად ბიზნესის ეს სექტორი დაეხმარება ბიუჯეტს და ქვეყნის მოსახლეობას. აშშ-ს პრეზიდენტი წელიწადში ერთჯერ იღებს განსაკუთრებულ დებულებას „მცირე ბიზნესის შესახებ“, რომელიც წარმოადგენს მთავარ მარეგულირებელ დოკუმენტს. „კატრინის“ სახელწოდების ურაგანის შემდეგ აშშ-ში დაისვა საკითხი ვის დახმარებოდნენ პირველად, არჩევანი მცირე ბიზნესზე შეჩერდა, რადგან ის ქმნიდა ყველაზე დიდ ინფრასტრუქტურას ქვეყანაში. დიდ ბრიტანეთში მსგავსი შინაარსის სახელმწიფო დოკუმენტს ეწოდება „იფიქრე ჯერ მცირეებზე“ (Think Smaii First).

[12] http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისათვის. გადამოწმებულია 15.12.2020

„მსოფლიო ბაზრებზე მიმდინარე პროცესები, მძაფრი კონკურენცია და წინააღმდეგობები აიძულებს მცირე და საშუალო ბიზნესს გახდეს უფრო მოქნილი ბაზრის კონიუქტურის მიმართ. მსოფლიო ბანკი ყოველწლიურ მოხსენებებს აქვეყნებს სახელწოდებით „ბიზნესის წარმოება", სადაც წარმოდგენილია ქვეყნების რეიტინგი ბიზნესის ხელშეწყობის მიხედვით."[13] 2017-2018 წლების მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მსოფლიოს 108 ქვეყანამ განახორციელა 201 რეფორმა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით. შედარებით ეფექტური გამოდგა სამხრეთ ევროპის და და ცენტრალური აზრიის ქვეყნების რეგულაციები. „ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად, მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული ქვეყნის საინვესტიციო და ბიზნესგარემო - მნიშვნელოვნად არის შემცირებული ადმინისტრაციული ბარიერები და გაუმჯობესებულია სახელმწიფო სერვისები, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისთვის. რეფორმები, რომელთა განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გამარტივდა ბიზნესის დაწყება და წარმოება:

- საგადასახადო პოლიტიკა: გადასახადების რაოდენობა და განაკვეთები მნიშვნელოვნად შემცირდა, აგრეთვე გაუმჯობესდა საგადასახადო ადმინისტრირება. საქართველოს გააჩნია ევროპაში ყველაზე ლიბერალური საგადასახადო სისტემა. ამჟამად საქართველოში მოქმედებს 6 გადასახადი, ნაცვლად 2006 წლამდე არსებული 21 გადასახადისა.
- საბაჟო პოლიტიკა: საბაჟო სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად გამარტივდა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული პროცედურები და საგრძნობლად შემცირდა შესაბამისი ხარჯები. იმპორტის ტარიფები გაუქმდა პროდუქტების დაახლოებით 85%-ზე და ამჟამად მოქმედებს მხოლოდ 3 სატარიფო განაკვეთი (12%, 5% და 0%), ნაცვლად ადრე მოქმედი 16-სა. იმპორტის ტარიფები მოქმედებს მხოლოდ სასოფლო-

[13] SMALL AND MEDIUM ENTERPRISES (SMES) FINANCE. https://www.worldbank.org/en/topic/smefinance გადამოწმებულია 6.01.2021

სამეურნეო პროდუქტებზე და რამდენიმე დასახელების ინდუსტრიულ საქონელზე. საქართველოში არ არსებობს იმპორტის და ექსპორტის რაოდენობრივი შეზღუდვები (ე.წ. კვოტები).

- DCFTA-ის ძალაში შესვლის შემდგომ, 2014 წლის 1 სექტემბრიდან, ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის ხორციელდება ტარიფების გარეშე.
- ლიცენზიები და ნებართვები: ლიცენზიების და ნებართვების სისტემის რეფორმირების შედეგად, 2005 წლიდან ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა დაახლოებით 90%-ით შემცირდა. ამჟამად, ლიცენზიები და ნებართვები გამოიყენება მხოლოდ მაღალრისკიანი პროდუქციის წარმოებისას და მომსახურების გაწევისას, ასევე, ბუნებრივი რესურსების გამოყენების და ზოგიერთი სპეციფიკური საქმიანობისთვის. მნიშვნელოვნად გამარტივდა ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პროცედურები, შემოღებულ იქნა „ერთი სარკმლის“ და „დუმილი თანხმობის ნიშანია“ პრინციპები. ლიცენზიების და ნებართვების მოსაკრებლების ოდენობა განსხვავებულია საქმიანობის სახეების მიხედვით.
- სახელმწიფო მმართველობა: სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთობის პროცედურები, მათ შორის, ბიზნესთან დაკავშირებული მომსახურება ხორციელდება „ერთი სარკმლის პრინციპით“. მომსახურების უმრავლესობის მიღება შესაძლებელია ელექტრონულად. ამასთან, საქართველომ შექმნა უნიკალური სისტემა - იუსტიციის სახლები - მთელი ქვეყნის მასშტაბით. იუსტიციის სახლებში ერთ სივრცეში ხდება დაახლოებით 400 დასახელების მომსახურების მიწოდება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს როგორც სასურველი მომსახურების მიღებასთან დაკავშირებულ დროსა და ხარჯებს, ისე კორუფციის რისკს.

**3.9 საშუალო საწარმოთა ბრუნვა საკუთრების ფორმების მიხედვით 2019 წელს,** მლნ. ლარი

**3.9 TURNOVER OF MEDIUM ENTERPRISES BY OWNERSHIP TYPE IN 2019.** mln. GEL

წყარო: საქსტატი

| | მთლიანად Total | მათ შორის: / of which: სახელმწიფო State | არასახელმწიფო Non-state | |
|---|---|---|---|---|
| **სულ** | **21065.5** | **217.1** | **20848.4** | **Total** |
| ***ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:*** | | | | ***By economic activity:*** |
| სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | 201.3 | - | 201.3 | Agriculture, forestry and fishing |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება | 68.5 | - | 68.5 | Mining and Quarrying |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 2977.5 | 27.1 | 2950.4 | Manufacturing |
| ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება | 355.2 | 75.3 | 279.9 | Electricity, gas, steam and air conditioning supply |
| წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები | 29.3 | 6.9 | 22.4 | Water supply; Sewerage, Waste Management and Remediation Activities |
| მშენებლობა | 3083.9 | 19.0 | 3064.9 | Construction |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი | 9501.4 | - | 9501.4 | Wholesale and retail trade; repair of motor vehicles and motorcycles |
| ტრანსპორტირება და დასაწყობება | 1676.1 | 30.4 | 1645.8 | Transportation and storage |
| განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები | 575.2 | - | 575.2 | Accommodation and food service activities |
| ინფორმაცია და კომუნიკაცია | 335.2 | 4.7 | 330.5 | Information and communication |
| უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები | 336.7 | 9.5 | 327.2 | Real estate activities |
| პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | 455.4 | 4.1 | 451.3 | Professional, scientific and technical activities |
| ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები | 388.7 | 0.4 | 388.3 | Administrative and support service activities |
| განათლება | 179.6 | - | 179.6 | Education |
| ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები | 348.2 | 15.6 | 332.5 | Human health and social work activities |
| ხელოვნება, გართობა და დასვენება | 517.6 | 10.0 | 507.7 | Arts, entertainment and recreation |
| სხვა სახის მომსახურება | 35.8 | 14.1 | 21.6 | Other service activities |

## 3.10 მცირე საწარმოთა ბრუნვა საკუთრების ფორმის მიხედვით 2019 წელს. მლნ. ლარი
## 3.10 Turnover of small enterprises by ownership type in 2019. mln. GEL

წყარო: საქსტატი

| | მთლიანად<br>Total | მათ შორის: / of which:<br>სახელმწიფო<br>State | <br>არასახელმწიფო<br>Non-state | |
|---|---|---|---|---|
| **სულ** | **27454.2** | **43.9** | **27410.3** | **Total** |
| ***ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:*** | | | | ***By economic activity:*** |
| სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | 209.4 | - | 209.4 | Agriculture, forestry and fishing |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება | 241.1 | - | 241.1 | Mining and Quarrying |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 2320.3 | 4.7 | 2315.6 | Manufacturing |
| ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება | 70.0 | 0.2 | 69.7 | Electricity, gas, steam and air conditioning supply |
| წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები | 28.3 | 0.1 | 28.2 | Water supply; Sewerage, Waste Management and Remediation Activities |
| მშენებლობა | 3046.8 | 2.6 | 3044.2 | Construction |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი | 15074.2 | 12.0 | 15062.2 | Wholesale and retail trade; repair of motor vehicles and motorcycles |
| ტრანსპორტირება და დასაწყობება | 1758.9 | 1.4 | 1757.5 | Transportation and storage |
| განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები | 914.5 | - | 914.5 | Accommodation and food service activities |
| ინფორმაცია და კომუნიკაცია | 378.4 | 0.1 | 378.3 | Information and communication |
| უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები | 1084.9 | 7.9 | 1077.1 | Real estate activities |
| პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | 963.4 | 1.3 | 962.1 | Professional, scientific and technical activities |
| ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები | 764.3 | 1.2 | 763.0 | Administrative and support service activities |
| განათლება | 113.8 | 0.1 | 113.7 | Education |
| ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები | 242.3 | 8.9 | 233.4 | Human health and social work activities |
| ხელოვნება, გართობა და დასვენება | 136.6 | 2.8 | 133.8 | Arts, entertainment and recreation |
| სხვა სახის მომსახურება | 106.9 | 0.6 | 106.3 | Other service activities |

საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ზომები მიიღო კორუფციის აღმოფხვრისთვის, მათ შორის, ეკონომიკის ლიბერალიზაცია (გადასახადების რაოდენობისა და განაკვეთების შემცირება, საბაჟო პროცედურების გამარტივება), სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმა, სახელმწიფო მომსახურებასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივება და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ეკონომიკის ლიბერალიზაციამ და კორუფციის მნიშვნელოვანმა შემცირებამ, ძირითადად, განაპირობა დაუკვირვებადი ეკონომიკის წილის შემცირება ქვეყნის მთლიან ეკონომიკაში (დაუკვირვებადი გამოშვების წილი მთლიან გამოშვებაში). 2004-2014 წლებში ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად - 32%-დან 12.9%-მდე არის შემცირებული).“[14]

სახელმწიფო მხარდაჭერის კუთხით ქართულ სინამდვილეშიც ბევრი რამ გაკეთდა, ჩამოყალიბდა ბიზნესის ამ სექტორის მხარდამჭერი სპეციალური ინსტიტუტები, როგორიცაა ბიზნეს ინკუბატორები. ესაა სწორედ მსოფლიოში არსებული გამოცდილების გაზიარება. „ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა, მათ შორის, ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მთავარი მიზანი იყო ბიზნესის კეთების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ეკონომიკის ლიბერალიზაციის, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირების, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების, კორუფციასთან ბრძოლისა და სხვა გზებით. ამ რეფორმების შედეგად, საქართველომ ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად იქნა შეფასებული სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ და შესაბამისი შედეგები აისახა იმ

[14] http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისათვის. გვ. 9-10. გადამოწმებულია 15.12.2020

ინდექსებსა და რეიტინგებში, რომლებითაც ფასდება ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლება.“[15]

## 1.2. მცირე და საშუალო ბიზნესის ახალი იდეოლოგია

„განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება მაღალი ტემპებით მიმდინარეობს, რადგან ეროვნული მთავრობები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ასეთ საწარმოებს და მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი მოსახლეობაში საშუალო კლასის ფორმირების საფუძველია, რომელიც ეკონომიკის სტაბილური განვითარების ბაზას წარმოადგენს და მოსახლეობის დიდ ნაწილს ასაქმებს.“[16] სახელმწიფო და მცირე ბიზნესი-ვინ ვის უფრო ჭირდება? ეფექტიანობა საწყის ეტაპზე და სხვა მუდმივი მახასიათებლები განსაზღვრავს მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელოვან როლს ეკონომიკაში, რომ ის არის თანაბარზომიერი პარტნიორი ბიზნესში. სინამდვილეში სახელმწიფო საჭიროებს მცირე ბიზნესის მხარდაჭერას, რადგან ბიზნესის ეს სექტორი წარმოადგენს საზოგადოების სოციალური სტაბილურობის გარანტს.

- მცირე ბიზნესი ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორია, ეს საწარმოები მეტად მდგრადები არიან გარე ცვლილებების მიმართ. სხვადასხვა პერიოდებში, სხვადასხვა ეკონომიკური კრიზისების დროს სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესი აკეთებდა ეკონომიკის მხარდაჭერას და იოლად ახდენდა ახალ საბაზრო მოთხოვნებთან ადაპტაციას. სახელმწიფო საწარმოებმა და მსხვილმა კერძო სექტორმა კი ვერ გაუძლეს კონკურენციას, ან გაკოტრდნენ ან მოხდა

[15] http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისათვის. გადამოწმებულია 15.12.2020

[16] http://eprints.tsu.ge/1384/1/Management%20of%20small%20and%20medium%20business%20in%20the%20period%20of%20crisis.pdf მცირე და საშუალო ბიზნესის მართვა კრიზისულ პერიოდში. მაია ალადაშვილი. გადამოწმებულია 11.12.2020

მათი პრივატიზაცია. სწორედ კრიზისულ პირობებში მცირე ბიზნესმა აჩვენა თავისი სიცოცხლისუნარიანობა და მოქნილობა;

- მცირე ბიზნესი კორპორაციის „ბულიონია". თუ მსოფლიოში მხოლოდ გიგანტი კორპორაციები იარსებებდნენ, ადრე თუ გვიან მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა იქნებოდა ტექნოლოგიურად დაბალანსებული და მათი შემდგომი განვითარება დამოკიდებული იქნებოდა მოსახლეობის რაოდენობის ზრდაზე. მცირე ბიზნესი არა მხოლოდ ზრდის მოთხოვნას ნედლეულსა და მასალებზე, არამედ სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესი უზრუნველყოფს მოსახლეობაში დამატებითი შემოსავლების გაჩენას. ის ერთგვარი ბულიონია, ამდიდრებს და ავსებს კორპორაციების საქმიანობას, მცირე საწარმოები მუდმივ რეჟიმში ახდენენ ახალი ტექნოლოგიების გენერირებას, იღებენ ახალ, მეტად ეფექტურ გადაწყვეტილებებს. თანამედროვე მსოფლიოში ბევრი მსხვილი კომპანია გამოდის სპონსორის (ნათლიმამას) როლში მცირე ინოვაციური ფირმებისა.
- მცირე და საშუალო ბიზნესი საგადასახადო შემოსავლების ზრდის მთავარი წყარო. მცირე ბიზნესი ყველა ქვეყანაში აქტიურად მონაწილეობა ყველა დონის ბიუჯეტის ფორმირებაში, ქმნის სამუშაო ადგილებს, წარმოადგენს მოსახლეობის შემოსავლის წყაროს და გვეხმარება გადასახადები ამოვიღოთ უშუალოდ ფიზიკური პირებიდან. თანამედროვე მსოფლიოში ყველგან მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს გადასახადების ბევრად უკეთეს გადამხდელს ვიდრე მსხვილი ბიზნესი.
- მცირე ბიზნესი ხელს უწყობს ინოვაციური ტექნოლოგიის განვითარებას. ის იოლად ადაპტირდება ახალ ტექნოლოგიაზე, თვითონ ახდენ ნოვატორული იდეების გენერირებას, წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიის ტესტირების პოლიგონს. თითქმის ყველა თანამედროვე მაღალტექნოლოგიურმა კომპანიამ თავისი იდეებია რეალიზაცია მცირე მეწარმეობიდან დაიწყო.

- მცირე ბიზნესი ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს. მცირე საწარმოების ასევე მცირე სამუშაო პერსონალი იოლად უზრუნველყოფს სამუშაო მოტივაციის გაზრდას, რაც დადებითად აისახება საწარმოს მუშაობის შედეგზე. აუცილებელი აღინოშნოს, რომ ხშირად მცირე და საშუალო საწარმოები ახდენენ მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენის დასაქმებას, ახალგაზრდების, ქალების, იმიგრანტების და ა.შ. ამას დიდი სოციალური დატვირთვა აქვს, ამ საწარმოებში ეს ადამიანები იღებენ გამოცდილებას და ახდენენ თვითრეალიზაციას.
- მცირე ბიზნესი ახდენს საზოგადოების სოციალურ სტაბილიზაციას, რადგან აყალიბებს საშუალო კლასს, რომლის არ არსებობა იწვევ საზოგადოების პოლარიზაციას და კონფრონტაციას.
- ბოლო წლებში მცირე ბიზნესი ამყარებს თავის პოზიციებს არა მხოლოდ მომსახურების სფეროში, არამედ წარმოებაშიც. ეს ტენდენცია განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით, კერძოდ: სტანდარტების განვითარების დონე, მაღალი ხარისხი და თანამედროვე მოწყობილობების მწარმოებლურობა იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოიყოს მსხვილი საწარმოების ერთიანი ტექნოლოგიური ციკლის ცალკეული დამოუკიდებელი საწარმოები. ასევე წარმოების პროცესში მაღალი ტექნოლოგიების და სამეცნიერო კვლევის შედეგების გამოყენების შესაძლებლობა, ინტელექტუალური საკუთრების სრული დაცვით, მცირე საწარმოებს აძლევს უნიკალური შესაძლებლობას გამოიყენონ თავისი „ნოუ-ჰაუ“. სწორედ ეს პროცესი აღრმავებს მცირე საწარმოების დიდი კორპორაციებთან ურთიერთთანამშრომლობას. ყველაფერ ამას კი ხელს უწყობს თანამედროვე სატელეკომუნიკაციო, სატრანსპორტო, ონლაინტექნოლოგიები, რაც უნიკალურ საშუალებას აძლევს მცირე საწარმოებს მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ვაჭრობაში და მოიზიდონ მომხმარებელთა დიდი ნაკადი.

„მცირე და საშუალო საწარმოები მოქნილად და სწრაფად რეაგირებენ ბაზრის ცვლილებებზე, ადვილად ითვისებენ ახალ პროდუქციას და ძირითადად ორიენტირებული არიან ადგილობრივ ბაზრებზე. თუმცა, ასევე სწრაფად არის შესაძლებელი კრიზისული სიტუაციების პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე ნეგატიურმა ეკონომიკურმა ფაქტორებმა სერიოზული გავლენა იქონიონ მათზე, რასაც, არც თუ ისე იშვიათად, მათი საქმიანობის შეჩერება ან გაკოტრება მოსდევს თან.“[17] მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ წარმოებული პროდუქცია მომხმარებლებისაგან დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან მცირე მეწარმეები უშვებენ ორიგინალური მახასიათებლების მქონე პროდუქციას, რაც მსხვილი კომპანიებისათვის ნაკლებად საინტერესოა. მსოფლიო მასშტაბით მცირე ბიზნესის საქმიანობის ერთ-ერთ აპრობირებულ მიმართულებას წარმოადგენს კვების პროდუქტების წარმოება ორიგინალური ტექნოლოგიით, როგორიცაა ძეხვეულის, ყველის ან ორცხობილების განსხვავებული სახეობები, რომელიც ბაზარზე დიდი მოთხოვნით გამოირჩევა. მცირე და საშუალო ბიზნესის პროდუქციაა ასევე სხვადასხვა სახეობის მორთულობები, ორიგინალური და მცირე რაოდენობით. წლების წინ ადამიანები ამას აკეთებდნენ მხოლოდ საკუთარი ან ახლობლების მოთხოვნით, შემდგომ ეს საქმიანობა მათთვის შემოსავლის წყაროდ იქცა. პროდუქციის წარმოების დაწყებამდე ისინი კარგად აკვირდებიან ბაზრის მოქმედ სტრუქტურას, დანახარჯებს და მოსალოდნელი შემოსავლის სიდიდეს.

„მცირე ბიზნესის მონაწილეობის მასშტაბები საქართველოს ეკონომიკაში ჯერ კიდევ უმნიშვნელოა. აქ მცირე მეწარმეობის წილი მშპ-ის წარმოებაში უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში საშუალოდ 11%-ს უტოლდება, ხოლო მცირე ბიზნესში დასაქმებულთა ხვედრი-წილი 10%-ის ფარგლებს არ გასცდენია. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე უმრავლეს ქვეყნებში, სადაც უკანასკნე- ლი 30 წლის

---

17

http://eprints.tsu.ge/1384/1/Management%20of%20small%20and%20medium%20business%20in%20the%20period%20of%20crisis.pdf მცირე და საშუალო ბიზნესის მართვა კრიზისულ პერიოდში. მაია ალადაშვილი. გადამოწმებულია 11.12.2020

## 4.3 გამოშვებული პროდუქციის წილი საწარმოთა ზომის მიხედვით 2019 წელს, პროცენტი
## 4.3 SHARE OF OUTPUT BY SIZE OF ENTERPRISES IN 2019, percent

წყარო: საქსტატი

| | მთლიანად Total | მათ შორის: / of which: მსხვილი Large | საშუალო Medium | მცირე Small | |
|---|---|---|---|---|---|
| **სულ** | **100.0** | **41.6** | **26.4** | **32.0** | **Total** |
| ***ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:*** | | | | | ***By economic activity:*** |
| სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | **100.0** | 19.4 | 37.8 | 42.7 | Agriculture, forestry and fishing |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება | **100.0** | 61.9 | 10.5 | 27.6 | Mining and Quarrying |
| დამამუშავებელი მრეწველობა | **100.0** | 48.5 | 29.0 | 22.5 | Manufacturing |
| ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება | **100.0** | 75.8 | 19.0 | 5.2 | Electricity, gas, steam and air conditioning supply |
| წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები | **100.0** | 81.3 | 9.8 | 8.9 | Water supply; Sewerage, Waste Management and Remediation Activities |
| მშენებლობა | **100.0** | 25.8 | 36.5 | 37.7 | Construction |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი | **100.0** | 35.9 | 25.0 | 39.1 | Wholesale and retail trade; repair of motor vehicles and motorcycles |
| ტრანსპორტირება და დასაწყობება | **100.0** | 51.7 | 18.5 | 29.7 | Transportation and storage |
| განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები | **100.0** | 28.5 | 28.0 | 43.5 | Accommodation and food service activities |
| ინფორმაცია და კომუნიკაცია | **100.0** | 61.1 | 17.7 | 21.3 | Information and communication |
| უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები | **100.0** | 7.8 | 21.8 | 70.5 | Real estate activities |
| პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | **100.0** | 7.2 | 31.2 | 61.6 | Professional, scientific and technical activities |
| ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები | **100.0** | 22.8 | 22.9 | 54.3 | Administrative and support service activities |
| განათლება | **100.0** | 31.3 | 42.7 | 26.0 | Education |
| ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები | **100.0** | 64.4 | 22.0 | 13.6 | Human health and social work activities |
| ხელოვნება, გართობა და დასვენება | **100.0** | 81.7 | 11.4 | 7.0 | Arts, entertainment and recreation |
| სხვა სახის მომსახურება | **100.0** | 3.7 | 22.8 | 73.5 | Other service activities |

### 4.4 გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურა საწარმოთა ზომის მიხედვით 2019 წელს, პროცენტი
### 4.4 STRUCTURE OF OUTPUT BY SIZE OF ENTERPRISES IN 2019, percent

წყარო: საქსტატი

| | მთლიანად Total | მათ შორის: / of which: მსხვილი Large | საშუალო Medium | მცირე Small | |
|---|---|---|---|---|---|
| **სულ** | **100** | **100** | **100** | **100** | **Total** |
| ***ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:*** | | | | | ***By economic activity:*** |
| სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | 1.3 | 0.6 | 1.9 | 1.7 | Agriculture, forestry and fishing |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება | 1.9 | 2.8 | 0.7 | 1.6 | Mining and Quarrying |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 21.7 | 25.2 | 23.8 | 15.2 | Manufacturing |
| ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება | 3.5 | 6.4 | 2.5 | 0.6 | Electricity, gas, steam and air conditioning supply |
| წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები | 0.8 | 1.5 | 0.3 | 0.2 | Water supply; Sewerage, Waste Management and Remediation Activities |
| მშენებლობა | 18.8 | 11.6 | 26.0 | 22.1 | Construction |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი | 16.7 | 14.4 | 15.8 | 20.5 | Wholesale and retail trade; repair of motor vehicles and motorcycles |
| ტრანსპორტირება და დასაწყობება | 9.7 | 12.1 | 6.8 | 9.0 | Transportation and storage |
| განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები | 4.4 | 3.0 | 4.7 | 6.0 | Accommodation and food service activities |
| ინფორმაცია და კომუნიკაცია | 3.9 | 5.7 | 2.6 | 2.6 | Information and communication |
| უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები | 3.2 | 0.6 | 2.6 | 7.1 | Real estate activities |
| პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | 3.0 | 0.5 | 3.6 | 5.9 | Professional, scientific and technical activities |
| ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები | 2.0 | 1.1 | 1.8 | 3.5 | Administrative and support service activities |
| განათლება | 0.9 | 0.7 | 1.5 | 0.8 | Education |
| ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები | 4.1 | 6.3 | 3.4 | 1.7 | Human health and social work activities |
| ხელოვნება, გართობა და დასვენება | 3.7 | 7.4 | 1.6 | 0.8 | Arts, entertainment and recreation |
| სხვა სახის მომსახურება | 0.3 | 0.0 | 0.3 | 0.7 | Other service activities |

**4.10 პროდუქციის გამოშვება მცირე საწარმოთა მიერ საკუთრების ფორმების მიხედვით 2019 წელს,** მლნ. ლარი

**4.10 Output of small enterprises by ownership type in 2019,** mln. GEL

წყარო: საქსტატი

| | მთლიანად<br>Total | მათ შორის: / of which:<br>სახელმწიფო<br>State | <br>არასახელმწიფო<br>Non-state | |
|---|---|---|---|---|
| **სულ** | **15193.3** | **45.8** | **15147.5** | **Total** |
| ***ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით*** | | | | ***By economic activity:*** |
| სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | 263.6 | - | 263.6 | Agriculture, forestry and fishing |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება | 243.6 | - | 243.6 | Mining and Quarrying |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 2314.6 | 4.5 | 2310.2 | Manufacturing |
| ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება | 86.3 | 0.2 | 86.1 | Electricity, gas, steam and air conditioning supply |
| წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები | 32.7 | 1.5 | 31.2 | Water supply; Sewerage, Waste Management and Remediation Activities |
| მშენებლობა | 3360.7 | 2.6 | 3358.1 | Construction |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი | 3107.9 | 1.3 | 3106.6 | Wholesale and retail trade; repair of motor vehicles and motorcycles |
| ტრანსპორტირება და დასაწყობება | 1373.8 | 1.5 | 1372.3 | Transportation and storage |
| განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები | 913.6 | - | 913.6 | Accommodation and food service activities |
| ინფორმაცია და კომუნიკაცია | 392.0 | 0.6 | 391.4 | Information and communication |
| უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები | 1072.6 | 7.9 | 1064.7 | Real estate activities |
| პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | 891.3 | 1.3 | 889.9 | Professional, scientific and technical activities |
| ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები | 527.4 | 1.2 | 526.2 | Administrative and support service activities |
| განათლება | 117.2 | 0.1 | 117.1 | Education |
| ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები | 264.8 | 10.0 | 254.8 | Human health and social work activities |
| ხელოვნება, გართობა და დასვენება | 123.7 | 12.5 | 111.2 | Arts, entertainment and recreation |
| სხვა სახის მომსახურება | 107.3 | 0.6 | 106.7 | Other service activities |

განმავლობაში ჩამოყალიბდა სამეწარმეო და სახელისუფლებო სტრუქტურე- ბის ურთიერთქმედების საკმაოდ ეფექტიანი მრავალდონიანი მექანიზმი, მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა განიხილება, როგორც სახელმწიფოს საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო. მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა თვალსაზრისით, სახელმწიფომ უნდა შექმნას აუცილებელი პირობები, რომლის დროსაც იგი შეძლებს საკუთარი მიზნების (საკუთრებისა და */თავისი პირადი უფლებების დაცვის, რისკების მინიმიზების, ინვესტიციებისა და მოგების ეფექტიანობის მაქსიმიზების და სხვ.) მიღწევის მაღალეფექტიანობას."[18]

რა წარმოადგენს მცირე ბიზნესის ახალ იდეოლოგიას? ეკონომიკის საბაზრო მოდელმა შეცვალა თავდაპირველი მიდგომები, იზრდება მცირე მეწარმეობის სტატუსი ეკონომიკაში, სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში, სახელმწიფოს შიდა და საერთაშორისო ურთიერთობებში, იცვლება მცირე და საშუალო მეწარმეობაზე სახელმწიფოს ზემოქმედების მექანიზმი. მცირე ბიზნესის ახალი იდეოლოგიის პრინციპები შემდეგნაირად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ:

- მცირე ბიზნების თანამედროვე საზოგადოების განუყოფელი ნაწილია;
- სახელმწიო საჭიროებს მცირე მეწარმეების მხარდაჭერას;
- მცირე ბიზნესი თანაბარი პარტნიორია ბიზნესში;
- თუ სახელმწიფოსა და მოსახლეობას შორის არ დგას მცირე ბიზნესი ეს აუცილებლად მიგვიყვანს კონფრონტაციამდე;
- მსხვილი ბიზნესი მოგებას ზრდის წარმოების მასშტაბების ზრდასთან ერთად, მცირე და საშუალო ბიზნესი მოგებას ზრდის ეფექტურობის ზრდის ხარჯზე;
- მცირე ბიზნესი ეს არაა უმუშევრობისაგან თავის დაცვის პანაცეს, არამედ არის საზოგადოებაში სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი;
- გლობალიზაციის პირობებში მცირე ბიზნესი მეტად ეფექტურად იყენებს გლობალურ ტექნოლოგიებს;

---

[18] http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/dadvadze.pdf მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები. დავით ადვაძე. 2015 წელი. სადოქტორო დისერტაცია. გადამოწმებული 14.12.2020

თანამედროვე ეტაპზე მცირე და საშუალო ბიზნესს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვეყნების ეკონომიკაში, ასრულებს რა ისეთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს, როგორებიცაა:

- ორგანიზაციული ფუნქცია, რომელიც კონკურენტული გარემოს შექმნას უზრუნველყოფს.
- რესურსული ფუნქცია, რომელიც შრომითი, საინფორმაციო და სხვა სახის კაპიტალის ეფექტურად გამოყენებას გულისხმობს.
- სოციალური ფუნქცია, რომელიც გამოიხატებს მცირე ბიზნესის და უმუშევრობის დაპირისპირებაში;

„მცირე ბიზნესი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნდა იყოს ორგანიზებული. ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკის დარგებს, რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, თანაც აუცილებელად უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტორი, რომ უნდა მოხდეს წარმოების განსაკუთრებული უფლების თავიდან აცილება. მცირე ან საშუალო ბიზნესის ორგანიზაციისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის ფაქტორი, რომ კონკრეტული ლოკაციისათვის ეს ბიზნესი უნდა იყოს მაქსიმალურად მისაღები. ეს ნიშნავს, რომ მათი უპირატესი ნაწილი უნდა იყოს ეკონომიკის რეალურ სექტორში. ამ პირობებში აუცილებელია შემდეგი დებულებების გათვალისწინება:

- ბიზნესის კონცეფციის ამსახველი სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება;
- ეფექტური სახელმწიფო მხარდაჭერა;
- ურთიერთობების ფორმირება მეცნიერებას, ბიზნესსა და წარმოებას შორის;“[19]

აქტიურად მარტივდება მთავრობის ღონისძიებები მცირე ბიზნესის რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, იგი ცდილობს შეამციროს ბიუროკრატიული პროცესების რაოდენობა. შეგვიძლია მცირე მეწარმეობის განვითარების სამ მოდელზე ვიმსჯელოთ:

- საქმიანობის მასშტაბების კონსერვაცია და სტატუს-კვოს შენარჩუნება;

---

[19] Small and Mid-size Enterprise (SME). By DANIEL LIBERTO, By JANET BERRY-JOHNSON. https://www.investopedia.com/terms/s/smallandmidsizeenterprises.asp გადამოწმებულია 4.01.2021

- საქმიანი აქტივობის ნელ-ნელა გაფართოება;
- მცირე მეწარმეობით დაწყება და შემდეგ საშუალო მეწარმეობის ფორმატში გადასვლა.

XX საუკუნის დასასრულს ევროპული სახელმწიფოების ეკონომიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მცირე საწარმოების რიცხვი, პარალელურად მსხვილი საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის, მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციების, კაპიტალის ბრუნვის და სხვა მაჩვენებლები სტაბილური დარჩა. დამყარდა ერთგვარი ბალანსი მცირე და საშუალო მეწარმეობას შორის. ეს იყო პერიოდი, როდესაც მან აჩვენა თავისი მოქნილობა, ინოვაციურობა, ცვლილებებთან ადაპტირების უმაღლესი ხარისხი. „მეწარმეებმა კარგად გააცნობიერეს, რომ აუცილებელია არა მხოლოდ სპეციალიზაციის უპირატესობის გამოყენება, არამედ იმ შესაძლებლობების აღმოჩენა, რომელიც თავს იჩენს საწარმოო კოოპერაციის დროს: ესაა მასშტაბის ეკონომია, ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რისკების გადანაწილება და ა.შ. მცირე საწარმოების უმთავრესი უპირატესობა გამოიხატება კრიზისულ პერიოდებში მეტი შემგუებლობით და მეტი მოქნილობით, მსხვილი კორპორაციებისაგან განსხვავებით, რომლებიც ძალიან მტკივნეულად რეაგირებენ ნებისმიერ ცვლილებაზე ეკონომიკაში. აქედან გამომდინარე მცირე მეწარმეობა ეკონომიკის საერთო მდგომარეობის ერთგვარ ინდიკატორად იქცა, ესაა მოგების ნორმის დაცემა ან ზრდა, გაკოტრების ტალღის სიძლიერე და ა.შ. კრიზისული სიტუაციის გადავლის შემდეგ სწორედ მცირე და საშუალო საწარმოები ყველაზე უკეთ ახდენენ ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას. არის ეკონომიკის სფეროები, სადაც მცირე მეწარმეობის სუბიექტები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ, ესაა მომსახურების სექტორი, უფრო კონკრეტულად ტექნიკური მომსახურება, რემონტი, საოჯახო ტექნიკის და ავტომობილების ტექნიკური მომსახურება, კონსულტაციის გაწევა, საყოფაცხოვრებო მომსახურება და ა.შ.“[20]

---

[20] Small And Midsize Business (SMB). https://www.gartner.com/en/information-technology/glossary/smbs-small-and-midsize-businesses გადამოწმებულია 7.01.2021

მიუხედავად ამ ფუნქციებისა მცირე ბიზნესს სხვადასხვა ქვეყნებში ბევრი პრობლემის წინაშე დგომაც ხშირად უწევს, ასეთი შეიძლება იყოს: საგადასახადო დაბეგვრის არასწორი სისტემა, რომელიც მოგების მნიშვნელოვან ნაწილს ართმევს მეწარმეს; საკმარისი კაპიტალის ნაკლებობა, რამეთუ დამწყები მეწარმისათვის რთულია იმ თანხის მოძიება, რომელიც მას საწყის კაპიტალად გამოადგებოდა. მცირე ბიზნესის არასაკმარისი საზოგადოებრივი და სახელმწიფო მხარდაჭერა; საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ბოლომდე დაიცავს მცირე მეწარმის ინტერესებს;

საქართველოს სტატისკის ეროვნულმა სამსახურმა 2017 წლის მარტიდან შეიმუშავა ბიზნესის რეგისტრირების განსხვავებული მეთოდოლოგა, რომელიც ამოქმედდა 2018 წლიდან, რომლის თანახმადაც:

ცხრილი 2.1. **საქართველოში მსს-ის ახალი დეფინიცია**

| კატეგორია | დასაქმებულთა რაოდენობა | საშუალო წლიური ბრუნვა (ლარი) |
|---|---|---|
| მცირე | <50 | <12 000 000 |
| საშუალო | 51-249 | 12-60 000 000 |
| დიდი | >250 | >60 000 000 |

წყარო: ინფორმაცია მიღებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან.

საბოლოოდ შეგვილია დავასკვნათ, რომ მცირე მეწარმეობის პოტენციალი სბოლოოდ არც შესწავლილია და არც გამოყენებული, ამიტომ იგი განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში დღემდე რჩება ბაზრის ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფ სექტორად.

# თავი II
# მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი

## 2.1. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები საქართველოში

არსებობს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის, მათი ფინანსური რისკების მინიმიზაციის სხვადასხვა მექანიზმი, იქნება ეს კომერციული ბანკების საკრედიტო პროგრამები, მიზნობრივი ფონდების მხარდამჭერი პროგრამები, ურთიერთგარანტიის საზოგადოებების პროგრამები, მცირე ბიზნესის სესხით უზრუნველყოფის პროგრამები ეკონომიკის შედარებით მნიშვნელოვან სექტორში მომუშავე მცირე საწარმოებისათვის, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები და ა.შ. თუ სახელმწიფო მხარს დაუჭერს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ავტომატურად ბიზნესის ეს სექტორი დაეხმარება ბიუჯეტს და ქვეყნის მოსახლეობას.

„საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წელს დამტკიცდა საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. სტრატეგია სრულ შესაბამისობაშია ევროპული მცირე ბიზნესის აქტის ძირითად პრინციპებთან და მასში გათვალისწინებულია ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის კუთხით. სტრატეგიის მთავარი მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მათი კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლება, რის შედეგადაც მოხდება შემოსავლების და სამუშაო ადგილების ზრდა და შესაბამისად, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. 2020 წლისთვის სტრატეგიით განისაზღვრა სამიზნე მაჩვენებლები, რაც ითვალისწინებს მცირე და

საშუალო საწარმოების გამოშვების წლიურ 10%-იან ზრდას, ასევე საბაზისო წელთან (2013 წ.) მიმართებით დასაქმებულთა 15%-იან და მწარმოებლურობის 7%-იან ზრდას.“[21]

ის, რომ სახელმწიფოს მცირე და საშუალო ბიზნესს დიდი მხარდაჭერა უნდა გამოუხატოს ამაზე ყველა ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელი თანხმდება, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს პრინციპები, მიმართულებები, რეგიონალური წყობის თავისებურებები, კონკრეტულ ლოკაციებზე მცირე ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობა, სახელმწიფო რეგულირების პრიორიტეტები და ა.შ. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის „მოიცავდა 5 ძირითად სტრატეგიულ მიმართულებას, როგორიცაა საკანონმდებლო, ინსტიტუციური ბიზნეს გარემოს შემდგომი გაუმჯობესება; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის, სამეწარმეო უნარების და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის განვითარება; ექსპორტის წახალისება და მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია; ინოვაციების და კვლევისა და განვითარების (R&D) მხარდაჭერა. აღნიშნული სტრატეგიული მიმართულებები, თავის მხრივ, მოიცავს პოლიტიკის შესაბამის პრიორიტეტულ ღონისძიებებს და ქმედებებს. შესაბამისად, 2019 წელს სტრატეგიის სამოქმედო გეგმა, ზემოაღნიშნული 5 სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში, ითვალისწინებდა 36 პრიორიტეტული ღონისძიების და 118 ქმედების განხორციელებას.“[22]

მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირება ეს სახელმწიფოს გავლენის ფორმების და მეთოდების ღონისძიებათა კომპლექსია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ამ საწარმოების ნორმალურ ფუნქციონირებას, შეასუსტოს უაყოფითი

---

[21] http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy/me_strategy_annual_report_2019_1_geo.pdf საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 . 2019 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში. გვ. 7. გადამოწმებულია 18.12 2020

[22] http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისათვის. გადამოწმებულია 15.12.2020

ტენდენციები. ამ რეგულიაციების შინაარს განსაზღვრავს ზოგადად ეკონომიკის რეგულირება, რომელთა შორის გამოიყოფა:

- მყარი ეკონომიკური ზრდა;
- დასაქმების მაღალი დონე;
- ინფლაციის დაბალი დონე;
- მყარი ფინანსური მდგომარეობა;
- შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება;
- შიდაეკონომიკური საქმიანობის სტაბილურობა;

მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების მიზნების რეალიზაცია ხორც იელდება კონკრეტული მიზნების დასახვის გზით, როგორებიცაა:

- საბაზრო მექანიზმის სწორად ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივი საფუძვლის შექმნა;
- სამეწარმეო ინფრასტრუქტურის განვითარების უზრუნველყოფა;
- კონკურენციის პირობების დაცვის აუცილებლობა;

ზოგადად სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკის საბაზრო მოდელში ორი ფორმით ხორციელდება პირდაპირი და ირიბი, შესაბამისად მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაც შეგვიძლია ორ მიმართულებად გავანაწილოდ პირდაპირ და ირიბად. პირდაპირი მხარდაჭერა გულისხმობს მას, რომ სახელმწიფო არ შემოიფარგლება მხოლოდ თამაშის საერთო წესების შემოღებით, მას არ აკმაყოფილებს მხოლოდ არბიტრაჟის როლი ქონდეს ამ პროცესებში, მაგრამ მყარად აიღებს საკუთარ თავზე კონკრეტული სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღების სადავეებს. ეს ვარიანტი მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების მასშტაბური ხედვაა და თანხვედრაშია პროტექციონისტურ პოლიტიკასთან. პროცესუალურად ხდება მცირე საწარმოებზე დოტაციების გაცემა, იქმნება სპეციალური სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტები მცირე ბიზნესის დაკრედიტებისათვის, განისაზღვრება კრედიტის პროცენტის ზედა ზღვარი და ა.შ. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის „პირველი სტრატეგიული მიმართულება ითვალისწინებს

სამართლებრივი, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს შემდგომ გაუმჯობესებას მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში შემუშავდა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელზეც ჩატარდა საჯარო-კერძო განხილვები და წარედგინა მთავრობას; დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა და დამტკიცდა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი; ბიზნესისათვის საჭირო სახელმწიფო სერვისების მიწოდების

**ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2020 წლის II კვარტალი**




გაუმჯობესების მიზნით დამუშავდა ერთიანი ფრონტ ოფისის კონცეფცია, მათი გამარტივების მიზნით განხორციელდა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის სერვისების აღწერა-ანალიზიინტეგრაცია და ვებ-პორტალზე აწყობა. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერების მიზნით განხორციელდა შესაბამისი ინსტიტუტების თანამშრომელთა დატრენინგება, მათ შორის სსიპ „აწარმოე საქართველოში“ და საქართველოს ტექნოპარკების და ინოვაციების ცენტრების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენერების ტრენინგები.“[23]

---

23 http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy/me_strategy_annual_report_2019_1_geo.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საწარმოთა საქმიანობის შედეგების 2020 წლის II კვარტლის მონაცემებიდან ვიგებთ, რომ „2020 წლის II კვარტალში მთლიანი ბრუნვის 58.8 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 17.8 % - საშუალოზე, ხოლო 23.4 % - მცირე ბიზნესზე ნაწილდება. მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 43.7 %, საშუალოზე - 25.7 %, ხოლო მცირე ბიზნესზე - 30.6 %.“[24]

არსებობს სახელმწიფოს მიერ მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის ირიბი მეთოდი, რომელიც გულისხმობს სპეციალური ინსტიტუციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომლის ფარგლებშიც ანხორციელებენ თავის საქმიანობას მცირე საწარმოები. მხარდაჭერის არსი პირდაპირი ჩარევა არ არის. ჩამოყალიბებული სტრუქტურა მაგალითად მოიაზრებს ისეთი კერძო ბანკების საქმიანობას, რომლების სპეცილიზებულები იქნებიან მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებაზე. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის „მეორე სტრატეგიული მიმართულება ითვალისწინებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში ჩატარდა მეწარმეთათვის ტრენინგები, მათ შორის ფინანსური განათლების გაუმჯობესების მიზნით. აგრო მეწარმეებისთვის შემუშავდა ფინანსური განათლების ტრენინგ-მოდული. მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for

---

pdf საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 . 2019 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში. გვ. 8. გადამოწმებულია 18.12 2020

[24] https://www.geostat.ge/media/33307/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%282020-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-II-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%29.pdf
საქსტატი. გადამოწმებულია 18.12.2020

SME) დანერგვა. მომზადდა IFRS for SME-ის სატრენინგო მასალები და სასწავლო მოდულები და ჩატარდა ტრენინგები სამიზნე აუდიტორიებისთვის. კაპიტალის ბაზრის განვითარების მიზნით შემუშავდა „საინვესტიციო ფონდების შესახებ" კანონპროექტი და წარედგინა მთავრობას. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით ამოქმედდა საკრედიტო საგარანტიო სქემა. ჩატარდა მრგვალი მაგიდები/დისკუსიები მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსების კუთხით არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირების მიზნით. აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გაიცა სესხები. ასევე, ახალგაზრდა მეწარმეების განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდნენ ახალგაზრდა მეწარმეები. შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში შეიქმნა გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოები."[25]

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საწარმოთა საქმიანობის შედეგების 2020 წლის II კვარტლის მონაცემებიდან ვიგებთ, რომ „საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია: მსხვილი ბიზნესი – 1 204.1 ლარი, საშუალო ბიზნესი – 1 289.9 ლარი, მცირე ბიზნესი – 1 055.2 ლარი."[26]

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პირველი, პირდაპირი ვარიანტი სასათბურე პირობებს უქმნის მცირე ბიზნესს და შესაძლოა ქონდეს ორმხრივი ეფექტი. ერთის მხრივ სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი მხარდაჭერა ხელს უწყობს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას, ეხმარება გაუძლონ კონკურენციას, მეორეს მხრივ ეს ვარიანტი ამცირებს მწარმოებლურობას, სპობს ინიციატივის გამოხატვის სტიმულს. ამითაა განპირობებული ის აქტორი, რომ განვითარებული ბაზრის პირობებში სახელმწიფოები მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ირიბ ვარიანტს ირჩევენ. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების

25 http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy/me_strategy_annual_report_2019_1_geo.pdf საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 . 2019 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში. გვ. 8. გადამოწმებულია 18.12 2020

26 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საწარმოთა საქმიანობის შედეგების 2020 წლის II კვარტლის მონაცემები. გვ. 3. გადამოწმებულია 17.12.2020

სტრატეგიის „მესამე სტრატეგიული მიმართულება ითვალისწინებს მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარებასა და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობას. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში განხორციელდა შრომის ბაზრის საჭიროებათა იდენტიფიცირება, მათ შორის სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული განზრახვების იდენტიფიცირება. "დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში დასაქმდნენ სამუშაოს მაძიებლები, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (შშმ პირები). მომზადდა შრომის ბაზრის საკითხებთან დაკავშირებული კვლევები და ანალიზი. სავალდებულოდ დაინერგა სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ყველა პროფესიული სტუდენტისთვის მოდულურ პროფესიულ პროგრამაზე სწავლის დროს მეწარმეობის მოდულის გავლა. განხორციელდა პროფესიული სასწავლებლების გაძლიერების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა მეწარმეობის სწავლების ხელშეწყობას ახალი სასწავლო მოდულის განვითარებისა და პროექტზე დაფუძნებული სწავლების პრინციპების დანერგვის გზით."[27]

სახელმწიფოს მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაზე საუბრისას, უფრო კონკრეტულად, კი იმ კონკრეტული საწარმების შერჩევისას, რომლების დახმარებასაც ვაპირებთ, უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ მათი ფინანსური მდგომარეობა, არამედ ამ საწარმოების საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ეკონომიკური ინტერესები, რომელსაც ისინი გამოხატავენ. თუ ეს საწარმოები შეწყვეტენ წარმოების პროცესში ინოვაციური პროცესების ორგანიზებას, შეწყვეტენ სარისკო წარმოებას, ვერ უზრუნველყოფენ კონკურენტუნარიან წარმოებას, მაშინ ისინი აღარ იქნებიან ისეთები, როგორების უნდა იყვნენ. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის „მეოთხე სტრატეგიული მიმართულება ითვალისწინებს ექსპორტის ხელშეწყობას და მცირე და საშუალო

---

27 http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy/me_strategy_annual_report_2019_1_geo.pdf საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 . 2019 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში. გვ. 9. გადამოწმებულია 18.12 2020

საწარმოთა ინტერნაციონალიზაციას. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში განხორციელდა რიგი აქტივობები DCFTA-ის პერსპექტივების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. განხორციელდა საექსპორტო პოტენციალის მქონე სექტორების ანალიზი და განისაზღვრა პრიორიტეტული საექსპორტო ბაზრები. განხორციელდა საერთაშორისო ბაზრების კვლევა ბაზრის მოთხოვნასა და პრიორიტეტულ პროდუქტებზე ამ ბაზრების მოთხოვნების, მათ შორის ტექნიკური მოთხოვნების იდენტიფიცირების მიზნით. მეწარმეებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ღონისძიებებში პარტნიორების მოძიების და ბიზნეს ურთიერთობების დამყარების უზრუნველსაყოფად. მიმდინარეობს მუშაობა ევროპის მეწარმეთა ქსელის-Enterprise Europe Network (EEN) პლატფორმაზე ინოვაციურ მეწარმეთა დასარეგისტრირებლად. გაიმართა არაერთი ბიზნეს ფორუმი საქართველოში და საზღვარგარეთ, საერთაშორისო გამოფენა, სადაც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა დამწყებმა და მოქმედმა საწარმოებმა.“[28]

მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმში უმნიშვნელოვანესია სამოტივაციო მიმართულება, ძლიერი მასტიმულირებელი მექანიზმი, ინვესტიციების მოზიდვა. ჩვენი აზრით ამ კონტექსტში სამი მიმართულება შეგვიძლია გამოვყოთ:

- ეკონომიკური სტატუსი, რომელიც გულისხმობს მცირე საწარმოების კლასიფიცირებას სხვადასხვა ნიშნებით და პრიორიტეტებით, მათ ურთიერთქმედებას ეკონომიკის სხვა სუბიექტებთან, მცირე საწარმოთა საქმიანობის შეფასების მაჩვენებელთა სისტემის შემუშავებას;
- მცირე საწარმოების ფინანსური სტატუსი გულისხმობს მათ ურთიერთობას სხვადასხვა დონის ბიუჯეტებთან, სტრატეგიის განსაზღვრას, სხვადასხვა

[28] http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy/me_strategy_annual_report_2019_1_geo.pdf საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 . 2019 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში. გვ. 10. გადამოწმებულია 18.12 2020

ფონდების მოძიებას, რომლებიც საჭირო დროს დახმარებას აღმოუჩენენ, სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობას;

- სამართლებრივი სტატუსი გულისხმობს მათი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი, სპეციალური, მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავებას, მიღებას და ამოქმედებას, ასევე ამ ბიზნესის განვითარების სახელმწიფო გარანტიებს;

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის „მეხუთე სტრატეგიული მიმართულება ითვალისწინებს ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციების სტიმულირება, ინოვაციების და R&D დაფინანსების ეფექტიანი სქემების შემუშავება და მათი კომერციალიზაცია. 2019 წლის განმავლობაში ქართულმა სტარტაპებმა მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირსა და სხვა ქვეყნებში სტარტაპების ხელშემწყობ ღონისძიებებში, მათ შორის, გამოფენებში, კონფერენციებსა და სემინარებში. ინოვაციური და ტექნოლოგიური საგრანტო პროგრამების ფარგლებში გაიცა გრანტები. რეგიონებში მეწარმეებისთვის განხორციელდა სასწავლო კურსი ელექტრონული ბიზნესის მიმართულებით. ქ.ბათუმში აშენდა და მოეწყო ინოვაციების ჰაბი. აქტიურად მიმდინარეობს რეგიონების დაფარვა მაღალსიჩქარიანი ოპტიკურბოჭკოვანი მაგისტრალური ინფრასტრუქტურით."[29]

---

29 http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy/me_strategy_annual_report_2019_1_geo.pdf საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 . 2019 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში. გვ. 11. გადამოწმებულია 18.12 2020

## 2.2. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები

მცირე და საშუალო ბიზნესის განვიათრების ხელშემწყობი სახელმწიფო მეთოდები არ ზღუდავს სამეწარმეო არჩევანის თავისუფლებას, ისინი ბაზრის ბუნების ადექვატურია, ზემოქმედებს ბაზრის კონიუქტურაზე და ირიბ ზემოქმედებას ახდენენ მწარმოებელზე, მომხმარებელზე და მომსახურებაზე. ამ ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს როლი იზრდება, როდესაც თვითონ სახელმწიფო გამოდის სამეწარმეო პროცესების თანამონაწილე. საქმიანობის სფერო ძალიან ფართო შეიძლება იყოს, მაგრამ ძირითადად მას ადგილი აქვს იმ სფეროში, სადაც დაფარვის პერიოდი და კაპიტალტევადობა მაღალია. ასეთია ენერგეტიკა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, მომპოვებელი მრეწველობა და ა.შ. „საქართველოს ეკონომიკა სტრუქტურირებული იყო მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოების (მსს) და მომსახურების ირგვლივ. შედეგად, ეკონომიკის პროფილი, ზოგიერთი პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისგან განსხვავებით, ისეთი როგორიცაა უკრაინა და ბელორუსი (სადაც მძიმე მრეწველობა აგრძელებს ოპერირებას) ან აზერბაიჯანი (სადაც მიმდინარეობს წიაღისეული საწვავის აქტიური მოპოვება), ეკონომიკის პროფილი ნაკლები ინტენსიურობით ხასიათდება. დაახლოებით 723 000 კომპანიაა დარეგისტრირებული საქართველოში, რომლის დაახლოებით 25% ამჟამად აქტიურია. საქართველოში ადრე არსებული დეფინიციით, კომპანიების საერთო რაოდენობიდან 85%-ზე მეტი მცირე საწარმოების კლასიფიკაციაში ხვდება, ხოლო 9% - საშუალო სიდიდის საწარმოებში. ვაჭრობისა და ტრანსპორტის სფერო ხასიათდება ყველაზე დიდი ბრუნვით, რომელიც 47% უტოლდება. მცირე სიდიდის საწარმოები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ სამუშაო ადგილების შექმნაში, მათი ნახევარზე მეტი თბილისში მდებარეობენ, ხოლო დანარჩენი, ძირითადად იმერეთისა და აჭარის რეგიონშია გაფანტული. მცირე სიდიდის საწარმოები იბრძვიან საკუთარი საქმიანობის მასშტაბის გაზრდისთვის საქართველოში. შეინიშნება იმის ტენდენცია,

რომ მათი უმეტესობა დაკავშირებულია შედარებით დაბალი დამატებული ღირებულების შემქმნელ სექტორთან (ვაჭრობა, უძრავი ქონება). შედარებით მცირე რაოდენობის ასეთ საწარმოებს ვხვდებით მრეწველობის სფეროში. შედეგად, ამ სექტორში დასაქმებულთა ანაზღაურებაც შედარებით დაბალია."[30]

მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების ეკონომიკური მეთოდების დიდი მრავალფეროვნება უზრუნველყოფს მათი გამოყენების თავისთავადობას:

- საბიუჯეტო პოლიტიკაში ის გულისხმობს სახელმწიფო ხარჯების რეგულირებას, შიდა სასესხო ფასიანი ქაღალდების გამოშვებას, სახელმწიფო შესყიდვებს, სახელმწიფო მეწარმეობის მხარდაჭერას;
- საკრედიტო-ფულად პოლიტიკაში ის გულისხმობს საპროცენტო განაკვეთის რეგულირებას, ფულადი მასის კონტროლს, სავალუტო ბაზრის რეგულაციებს;
- ფისკალურ პოლიტიკაში ის გულისხმობს სახელმწიფო და მუნიციპალური დაბეგვრის სისტემის რეგულირებას;
- სოციალურ პოლიტიკაში ის გულისხმობს შრომის ანაზღაურები ზღვრების დადგენას, საპენსიო ანაზრაურების სიდიდეს, აოციალურ დახმარებებს და ა.შ.

საქართველოში ბოლო პერიოდის განმავლობაში „სამი უმნიშვნელოვანესი ეროვნული პროგრამა განხორციელდა მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოების განვითარების მხარდასაჭერად. მათ გააერთიანეს პროექტების დიდი რაოდენობა, რომელთა წლიური ბიუჯეტი ერთობლივად დაახლოებით 100 მილონ აშშ დოლარს უტოლდებოდა.

- პროგრამა „აწარმოე საქართველოში" პროგრამა 2014 წელს დაფუძნდა, საქართველოს მრეწველობის კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერაზე იყო ორიენტირებული და სამეწარმეო უნარების და საექსპორტო პოტენციალის გამომუშავებაზე იყო მიმართული. 2019 წლის ივნისისათვის არსებული

[30] https://www.oecd-ilibrary.org/sites/e69bb448-ka/index.html?itemId=/content/component/e69bb448-ka მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოებთან დაკავშირებული პოლიტიკა საქართველოში. გადამოწმებულია 19.12.2020

მონაცემებით, „აწარმოე საქართველოში“ 503 ბიზნეს სუბიექტს დაეხმარა, საერთო ჯამში 1.18 მილიარდი ლარის (დაახლოებით 400 მილიონი აშშ დოლარი) ოდენობის ინვესტიციით და შექმნა 17 740 სამუშაო ადგილზე მეტი. ამ თანხის უმეტესი ნაწილის ინვესტირება განხორციელდა სოფლის მეურნეობასა და ტურიზმში/სასტუმროებში;

- საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო მართავს ინოვაციებთან დაკავშირებული საგრანტო პროგრამების განხორციელებას. მინი და მიკრო გრანტები ეხმარება ქართულ კომპანიებს და მსს-ს მოახდინონ ბიზნეს იდეებისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაცია. მსოფლიო ბანკის მიერ გაცემული სესხის - საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემა - ფარგლებში, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ დაიწყო სტარტაპების საგრანტო პროგრამა. პროგრამის მიზანია გლობალური მნიშვნელობის სტარტაპების მხარდაჭერა, მათ შორის, მწვანე ტექნოლოგიებისა და სოფლის მეურნეობის სფეროში, და მათი ფინანსებზე და მსოფლიოს ბაზრებზე წვდომის გაუმჯობესება;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს (სმპმს) მეშვეობით, 10-ზე მეტ პროექტს ახორციელებს სოფლის მეურნეობის სფეროში მსს-ის განვითარების მხარდასაჭერად;“[31]

რაც უფრო ღრმად ინტეგრირებულია ქვეყანა მსოფლიო სამეურნეო სისტემაში მით მეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მხრიდან მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერას. სახელმწიფოს მხრიდან ადგილობრივი ნაწარმის ექსპორტის სტიმულირება ხელს უწყობს შიდა ინვესტირების პროცესს, დამატებითი სამუშაო ძალის მოზიდვას, რაც დასაქმების და მომსახურების ბაზარზე სიტუაციას გამოასწორებს. საექსპორტო ორიენტაცია ეკონომიკას ხდის მეტად დინამიურს,

---

[31] https://www.oecd-ilibrary.org/sites/e69bb448-ka/index.html?itemId=/content/component/e69bb448-ka მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოებთან დაკავშირებული პოლიტიკა საქართველოში. გადამოწმებულია 19.12.2020

სწორედ მსოფლიო სამომხმარებლო ბაზარი ყველაზე უკეთ აფასებს პროდუქციის სამომხმარებლო თვისებებს, მის სტრუქტურას და წარმოების ეფექტურობას. „2018 წლის მონაცემებით, მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების რეიტინგში, საქართველო მე-6 ადგილს იკავებს, რაც საუკეთესო პოზიციაა გარდამავალი ეკონომიკების მქონე ქვეყნებს შორის. განვლილ წლებში, საქართველო ცდილობდა გაეუმჯობესებინა ბიზნეს გარემო ყველა ტიპის საწარმოებისათვის, მათ შორის მცირე სიდიდის საწარმოებისათვის. გამარტივდა ადმინისტრაციული რეგულაციები, შემსუბუქდა საგადასახადო ტვირთი, გაძლიერდა კორუფციასთან ბრძოლა, მოხდა თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერა და პრივატიზაციის ხელშეწყობა. სხვა ღონისძიებებთან ერთად, საქართველოს მთავრობამ მიიღო რიგი რეგულაციები და დააფუძნა ორგანიზაციები კრედიტების, როგორც გაცემის, აგრეთვე-აღების გსაადვილებლად. ამ ღონიძიებების მიზანი იყო კრედიტებზე წვდომის გაუმჯობესება (მაგ. კრედიტებთან დაკავშირებული საინფორმაციო სისტემის და გირავნობის ცენტრალიზებული რეესტრი შექმნა, ცვლილებები სამოქალაქო კოდექსი, რაც საშუალებას იძლევა აქტივების ფართო სპექტრი გამოყენებული იქნას გირაოდ). ამ ხელშემწყობი იურიდიული საფუძვლის მიუხედავად, მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოებისათვის კრედიტებზე წვდომა მაინც შეზღუდული რჩება, რაც აფერხებს ნორმალურ ბიზნეს ოპერაციებს.“[32]

სახელმწიფო, როგორც მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი უნდა გახდეს მეწარმეობის ეფექტურობის და საბაზრო პირობებში სამართლიანობის გარანტი. ეს კი ხდება შესაბამისი რეფორმების და სპეციალური ინსტიტუციების ჩამოყალიბების გზით. „მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოების განვითარების მხარდასაჭერად, ინოვაციების წასახალისებლად და სამეწარმეო აქტივობების გასაზრდელად საქართველოში ორი სააგენტო ფუნქციონირებს, ესენია საქართველოს

[32] https://www.oecd-ilibrary.org/sites/e69bb448-ka/index.html?itemId=/content/component/e69bb448-ka მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოებთან დაკავშირებული პოლიტიკა საქართველოში. გადამოწმებულია 19.12.2020

მეწარმეობის განვითარების სააგენტო და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.

- საქართველოს მეწარმეობის განვითარების სააგენტო (ან იგივე აწარმოე საქართველოში) მსს-ის სექტორის განვითარების მხარდამჭერი პროგრამებისა და პოლიტიკის ძირითადი კოორდინატორია. მისი მიზანია სტარტაპების მხარდაჭერა, კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება, უნარების გამომუშავება და ქვეყნის დახმარება იმ მიმართულებით, რომ მოახდეს ეკონომიკის საფუძვლების იმგვარი დივერსიფიცირება, რაც ხელს შეუწყობს ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის წახალისებას. ამისათვის, იგი ეხმარება ძირითადი სამთავრობო მხარდაჭერით მიმდინარე პროგრამების კოორდინირებას, ხელს უწყობს ფინანსებზე გაუმჯობესებულ წვდომას და სთავაზობს კონსულტაციებს და ბიზნესთან დაკავშირებულ ანალიტიკურ სერვისებს.
- საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (სიტს) კოორდინირებას უწევს და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების მედიატორია საქართველოში. მისი მიზანია იურიდიული ჩარჩოს უზრუნველყოფა ინოვაციებისთვის, ცოდნის განვითარების მხარდაჭერა და ინოვაციების კომერციალიზაცია, საგრანტო პროგრამებით ფინანსებზე წვდომაში დახმარება და ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება ინოვაციებისათვის. იგი აგრეთვე ეხმარება ახალი ტექნოლოგიებისათვის ფიზიკური ინფრასტრუქტურის შექმნაში (მაგ. ტექნო პარკები, სტარტაპების ინოვაციური ლაბორატორიები, i-ლაბები ინოვაციური ცენტრები თავად უნივერსიტეტებში) და სტიმულირებას უკეთებს დიალოგს აკადემიურ და ბიზნეს წრეებს შორის. დამატებით ამასთან, იგი ხელს უწყობს ცნობიერების ზრდას საზოგადოებაში ინოვაციების როლთან დაკავშირებით.“[33]

---

[33] https://www.oecd-ilibrary.org/sites/e69bb448-ka/index.html?itemId=/content/component/e69bb448-ka მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოებთან დაკავშირებული პოლიტიკა საქართველოში. გადამოწმებულია 19.12.2020

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სახელმწიფო რეგულირება ესაა მეწარმე სუბიექტებზე ზემოქმედების ღონისძიებათა ფორმებისა და მეთოდების კომპლექსი, რომლის მთავარი მიზანია მათი საქმიანობისათვის ნორმალური პირობების შექმნა. სახელმწიფო განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს და ახდენს რესურსების კონცენტრირებას ამ მიმართულებით, გამოყოფს სუბსიდიებს და ა.შ. სწორედ სახელმწიფო მხარდაჭერაა ის ძლიერი იარაღი, რომელიც პრაქტიკულად გამოასწორებს ბაზრის არაეფექტურობას. „სააგენტო "აწარმოე საქართველოში" ერთ-ერთი მთავარი სახელმწიფო უწყებაა საქართველოში, რომლის უმთავრეს მიზანს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარება, ექსპორტის ხელშეწყობა და ინვესტიციების მოზიდვას წარმოადგენს. სააგენტო "აწარმოე საქართველოში" ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:

ინდუსტრიული მიმართულების კომპონენტი - ახალი საწარმოების შექმნა, არსებული საწარმოების გაფართოება/გადაიარაღება;

სასტურმო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი - ახალი სასტუმროების შექმნა, არსებული სასტუმროების გაფართოება;

მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდამჭერი კომპონენტი - მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით);

პროგრამა "გადაიღე საქართველოში" - პროგრამა კინოწარმოებით დაინტერესებულ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროდიუსერებს შესაძლებლობას აძლევს საქართველოში გადაიღონ ფილმი თუ სხვა სახის აუდიო/ვიზუალური პროდუქცია და კვალიფიციური ხარჯების 20-25%-მდე უკან დაიბრუნონ.“[34]

---

34 http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98-9 პროგრამის „აწარმოე საქართველოს შედეგები“. გადამოწმებულია 20.12.2020

ბოლო პერიოდში პროგრამას დაემატა „ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია, რეგიონების პოტენციალის წარმოჩენის, ტურისტული აქტივობისა და მდგრადი ეკონომიკური სარგებლის მომტანი საწარმოების შექმნის მიზნით, ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრიის კომპონენტი მეწარმეს შესაძლებლობას აძლევს რეგიონებში განავითაროს სასტუმრო ბიზნესი, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, მოიზიდოს მეტი დამსვენებელი და ხელი შეუწყოს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას. საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება:

- პირველი 36 თვის განმავლობაში საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება რეფინანსირების განაკვეთს + 3% (დღეის მდგომარეობით - 11%);
- სესხის მინიმალური მოცულობა შეადგენს 50 000 ლარი;
- სესხის მაქსიმალური მოცულობა - 5 000 000 ლარი
- საერთაშორისო ბრენდის გამოყენებისათვის („ფრენჩაიზინგის“/მენეჯმენტ კონტრაქტის) ე. წ. Royalty Fees ანაზღაურების დაფინანსება პირველი 36 თვის განმავლობაში, (წლიური 300,000 ლარის ოდენობით);

ტექნიკური დახმარების კომპონენტი მოიცავს ბენეფიციარის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მიღებული საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებებზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებას.

- საკონსულტაციო მომსახურებაზე გაწეული ხარჯების თანადაფინანსება 80%-ის ოდენობით, არაუმეტეს 10 000 ლარისა თითოეულ ბენეფიციარზე. სერვისის მომსახურების სფეროებია:
- საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება, გარდა წარმოებისთვის საჭირო ძირითადი საშუალებების (დანადგარ(ებ)ის/ აღჭურვილობის) მონტაჟის ან/და ძირითადი და საბრუნავი საშუალებების მოხმარების (გამოყენების) ინსტრუქციებისთვის გაწეული მომსახურებისა;
- ტრენინგები და კონსულტაციები კომპანიის ან/და წარმოების მართვის, პროდუქტიულობისა და წარმოების მოცულობის ზრდის, ოპერაციების

ოპტიმიზაციის, პროდუქციის გაყიდვებისა და მარკეტინგის, კვლევა-განვითარების, ფინანსური ანგარიშგებისა და იურიდიული მიმართულებით;

- წარმოების პროცესში ხარისხის მართვისა და თანამედროვე სტანდარტების დანერგვა;“[35]

არსებობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებების საერთაშორისო ჩარჩო სტანდარტი, ძირითადი სტრატეგიული ორიენტირები, რომელიც გულისხმობს:

- არასავაჭრო სექტორის ხარჯზე მცირე სიდიდის საწარმოების რიცხვის ზრდას 1,5-ჯერ, რომელზეც მოვა ამ სექტორის ბრუნვის 40% მაინც;
- მცირე ინოვაციური კომპანიების რაოდენობის 6-ჯერ ზრდა;
- ადმინისტრაციული ბარიერების დასაძლევად ბიზნესადანარჯების 6-ჯერ შემცირება;

სწორედ ასეთი საკანონმდებლო საფუძველი შეიძლება იქცეს სახელმწიფოს მხრიდან მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის ძლიერ ბერკეტად. „საქართველოში მოქმედებს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის:

- **საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა:** პალატა დაფუძნებულია დამოუკიდებელი სახელმწიფო უწყების სახით. მისი მთავარი ფუნქციებია ბიზნესებისთვის საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, ბიზნეს უნარების და ბიზნესის დაგეგმვის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ექსპორტის ხელშეწყობა, საწარმოების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

---

35

http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90
აწარმოე საქართველოში. ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია. გადამოწმებულია 18.12.2020

და სხვა. პალატის წევრობა ნებაყოფლობითია. ამჟამად პალატას ჰყავს 1 007 წევრი, რომელთა 90% მცირე და საშუალო მეწარმეა. წევრობის გადასახადი მერყეობს 0-ლარიდან 10 000-ლარამდე და დამოკიდებულია გაწეულ მომსახურებაზე. მცირე და საშუალო საწარმოები არ იხდიან წევრობის გადასახადს. პალატას აქვს ხუთი რეგიონული ოფისი.

- **საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია:** ასოციაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს 1 000-ზე მეტ მცირე და საშუალო ბიზნესს. ასოციაცია უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურების გაწევას მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის და ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას სამეწარმეო ცოდნის, სამეწარმეო უნარების განვითარებისთვის. ასოციაციის წევრობა ფასიანია და მერყეობს 600 აშშ დოლარიდან 2 000 აშშ დოლარამდე საწარმოს ზომიდან გამომდინარე.
- **საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია:** წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომლის მიზანია მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერესების დაცვა და ადვოკატირება. ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს ბიზნესთან სამეწარმეო უნარების განვითარების, სხვადასხვა მიმართულებით კონსულტაციების გაწევის მიმართულებით და სხვა. ასოციაციას დღეისთვის 106 წევრი ჰყავს.“[36]

მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებებია:

- დაკრედიტების სტიმულირების პროგრამის ამოქმედება;
- მცირე და საშუალო საწარმოების გარანტირებული მხარდაჭერა;
- ინვესტორების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა;
- სალიზინგო მხარდაჭერა;
- საექსორტო უზრუნველყოფა;

---

[36] https://www.oecd-ilibrary.org/sites/e69bb448-ka/index.html?itemId=/content/component/e69bb448-ka მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოებთან დაკავშირებული პოლიტიკა საქართველოში. გადამოწმებულია 19.12.2020

„კომერციული ბანკები საქართველოში მცირე სიდიდის საწარმოების დაფინანსების მთავარი წყაროა. ზოგადად, ბანკები ამ სექტორს განიხილავენ, როგორც შედარებით მაღალი რისკის მატარებელს. მათ არ გააჩნიათ კრედიტისათვის საჭირო უზრუნველყოფა და ასაკრედიტო ისტორია საბანკო სექტორთან საკონტაქტოდ. ამასთან, ისინი შესაძლოა უკვე დატვირთულნი იყვნენ სესხებთ და ამგვარად არ გააჩნიათ შესაძლებლობა გააფართოვონ კრედიტის მოცულობა. ქართული ბანკები და განსაკუთრებით საერთაშორისო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი ბანკები ძალზედ მგრძნობიარენი არიან უიმედო სესხების მიმართ, ზრუნავენ მყარი საბალანსო ანგარიშებზე და კაპიტალის ადექვატურობის კოეფიციენტზე. სესხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნები მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენენ. ბანკები ზოგჯერ უზრუნველყოფის სახით კრედიტის საერთო მოცულობის 130%-ს ითხოვენ (ჩვეულებრივ, უძრავი ქონების ან მიწის სახით). მრავალი მცირე სიდიდის საწარმოებისათვის ეს საკმაოდ დიდ გამოწვევას წარმოადგენს, რადგან მათი ფიქსირებული აქტივები ბევრად მცირეა. მაღალი საპროცენტო განაკვეთი, განსაკუთრებით ადგილობრივ ვალუტაში აღებულ სესხებზე, აგრეთვე წარმოქმნის ფინანსებზე წვდომის ბარიერებს მცირე სიდიდის საწარმოებისათვის საქართველოში. განაკვეთები სესხებზე ჩვეულებრივ მაღალია (დაახლოებით 23% ინდმეწარმეებისთვის და 16% იურიდიული პირებისთვის), რაც რისკების მაღალი აღქმადობის მაჩვენებელია.“[37]

სახელმწიფოები მზადა არიან დაეხმარონ იმ პირებს, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ მცირე ან საშუალო ბიზნესში, სთავაზობენ მათ საგადასახადო შეღავათებს, საკრედიტო გარანტიებს, ახდენენ მათ სწავლებას ბიზნესის საფუძვლებში და უტარებენ ყველა სხვა სახის კონსულტაციებს. ამისათვის არსებობს სახელმწიფოს მხრიდან მეწარმეობის მხარდაჭერის სპეციალური სამთავრობო პროგრამები. „სახელმწიფოს მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის

---

[37] https://www.oecd-ilibrary.org/sites/e69bb448-ka/index.html?itemId=/content/component/e69bb448-ka მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოებთან დაკავშირებული პოლიტიკა საქართველოში. გადამოწმებულია 19.12.2020

პროგრამის „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ სრულწლოვან საქართველოს მოქალაქეს, როგორც მეწარმე სუბიექტს, რომელსაც პროგრამის ფარგლებში დაფინანსება არ მიუღია, ან პირველად მონაწილეობს, ასევე-მეწარმე სუბიექტს, რომელმაც ერთხელ უკვე მიიღო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილით განსაზღვრული ხელშეწყობა. პროგრამის არსებულ მეწარმე სუბიექტებს პროგრამის ფარგლებში გრანტის მიღების შესაძლებლობა ექნებათ, როგორც მათთვის უკვე დაფინანსებული საქმიანობის გაფართოების, ასევე, ახალი ბიზნეს პროექტის შემთხვევაში. 2021 წელს პროგრამის სამიზნე ტერიტორიულ ერთეულებს ემატება თბილისი. პროგრამის ფარგლებში 300-ზე მეტი ეკონომიკური საქმიანობის დაფინანსებაა შესაძლებელი. პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ პირს თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- არ არის საჯარო მოხელე;
- არ გააჩნია მიმდინარე ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე;
- აცხადებს მზაობას ბიზნესგეგმების კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად, რომელსაც მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, გარდა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა;
- პროგრამის ახალმა ბენეფიციარმა გრანტის მოპოვების შემთხვევაში, უნდა განახორციელოს საკუთარი ფულადი თანამონაწილეობა მოთხოვნილი გრანტის ოდენობის 10%, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში 5%;
- პროგრამის არსებულმა ბენეფიციარმა გრანტის მოპოვების შემთხვევაში, უნდა განახორციელოს ფულადი თანამონაწილეობა მოთხოვნილი გრანტის ოდენობის 25%, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში 15%.
- ფინანსური დახმარება ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას მაქსიმუმ 30 000 ლარის გრანტის

ოდენობით. პროექტის ფარგლებში მიღებული დაფინანსების მინიმუმ 90% უნდა იქნას გამოყენებული ძირითადი საშუალებების, ხოლო 10% საბრუნავი საშუალებების შესაძენად;“[38]

## 2.3. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები სამცხე-ჯავახეთში

„სამცხე-ჯავახეთი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. მასში შედის სამი ისტორიული მხარე–სამცხე, ჯავახეთი და თორი. რეგიონი აჭარას, გურიას, იმერეთს, შიდა ქართლს, ქვემო ქართლს, სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება. რეგიონის ტერიტორია 6421 კვადრატული კილომეტრია. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე 25 კაცს შეადგენს. სამცხე-ჯავახეთს გააჩნია ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა, მას ესაზღვრება თურქეთი და სომხეთი, რის გამოც საერთაშორისო სატრანზიტო გზები რეგიონზე გადის, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებისათვის.“[39]

---

[38] http://www.ivote.ge/GREENCAUCASUS/wp-content/uploads/2017/11/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%94-%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90.pdf სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის კონცეფცია. გადამოწმებულია 18.12.2020

http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/microgrants აწარმოე საქართველოში. გადამოწმებულია 19.12.2020

„2014 წლის აღწერის მონაცემებით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობა მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის 4,32%-ს - 160 504 ადამიანს შეადგენს, მათგან 54 663 ურბანული კატეგორიის დასახლებებში (ქალაქი და დაბა) ცხოვრობს, სოფლად კი 105 841 მცხოვრებია. რეგიონის ურბანიზაციის კოეფიციენტი (34%), სხვა რეგიონების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, დაბალია. რამდენადაც რეგიონში სიკვდილიანობას არ გადაუჭარბებია ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობისათვის, მოსახლეობის შემცირებისა და სტრუქტურული დაბერების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ახალგაზრდა და შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაციაა. სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან საქართველოს ფარგლებს გარეთ ემიგრაციაში სოფლებიდან გასულთა წილი (1806 ემიგრანტი) თითქმის 2-ჯერ მეტია, ქალაქების მცხოვრებლებთან შედარებით (963 ემიგრანტი).“[40] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რომლის თანახმადაც თვალნათელია მოსახლეობის დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში:

| რეგიონი | 2017 | | | 2018 | | | 2019 | | | 2020 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | ქალაქი | სოფ. | სულ | ქალაქი | სოფ. | სულ | ქალაქი | სოფ. | სულ | ქალაქი | სოფ. |
| სამცხე-ჯავახეთი | 157.2 | 55.0 | 102.2 | 155.9 | 55.0 | 100.9 | 154.1 | 54.4 | 99.8 | 152.1 | 54.1 | 98.0 |

[40] http://www.ivote.ge/GREENCAUCASUS/wp-content/uploads/2017/11/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%94-%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90.pdf სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის კონცეფცია. გადამოწმებულია 18.12.2020

